№ 36
ოთხშაბათი 13 თებერვალი 1902 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

70
საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 36
ოთხშაბათი 13 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი.
ხუთშაბათს, 14 თებერვალს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით
I
მეფე ლირი
ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგ. ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, ბ-ნნი: ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ივანიძე, იორდანოვი, მოურავიშვილი.
დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. გუნია.
მზადდება „დემონი“, ოპერა რუბინშტეინისა, „მაღალ ღმერთის ჩანგს“, „ზოგი ჭირი მარგებელია“.

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე
სწამლობს შინაგანს და საბავშო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.
ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს ხელში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგიო და კანისა.
ა. ნ. შაკაროვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.
გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

ვიქტორ ჰიუგო.

საფრანგეთის დიდებული რომანისტი, დრამატურგი, პოეტი, ორატორი და საზოგადო მოღვაწე ვიქტორ ჰიუგო დაიბადა სწორედ ასის წლის წინად ბეზანსონის ქალაქში 1802 წ. თებერვლის 13-ს (ახ. სტ. 26). მამა მისი იყო ნაპოლეონ პირველის გენერალი და სულით და გულით ბონაპარტისტი, დედა-კი უწინდელის მეფეების მომხრე. პატარა ჰიუგო იზრდებოდა ორის სხვა-და-სხვა მიმართულების ზედგავლენის ქვეშ. ყოველივე ცვლილება იმპერიაში მოქმედებდა მის სულიერს აგებულობაზე. ჰიუგოს ოჯახი ხან იტალიაში სცხოვრებდა, ხან ისპანიაში და ხან საფრანგეთში. პირველად ჰიუგოს შინა ზრდიდნენ და ასწავლიდნენ.

იმპერიის დამარცხებას დიდის სიხარულით მიეგება ვიქტორის დედა. თვითონ ვიქტორიც ატარებდა მეფეების ნიშანს—თეთრს შროშანს. პოეტის დედ-მამა სრულიად განშორდნენ ერთმანერთს. როდესაც ნაპოლეონი დაბრუნდა ელბიდგან, ვიქტორის მამამ მოითხოვა, რომ შვილები, რომლებიც აქამდე დედასთან სცხოვრობდნენ, მოაშორეთ დედასაო. ახლა შვილები მოათავსებულ იქმნენ კერძო პანსიონში. გარდა ამ პანსიონის გაკვეთილებისა, ვიქტორი და მისი ძმები ისმენდნენ მეორე კოლეგიაში ფილოსოფიისა, ფიზიკისა და მათემატიკის კურსებს.

პანსიონში ჰიუგო ძლიერ მხიარულად ატარებდა დროს; ვიქტორი და მისი ამხანაგებიც სწერდნენ ლექსებს და დრამებს, რომელთაც კიდეც თამაშობდნენ პანსიონში მოსწავლენი. ვიქტორი ცამეტის წლისა იყო, რომ ლექსების წერა დაიწყო და მღეროდა როლანდს და რაინდობას. 1817 წელს მან დასწერა აკადემიის თემაზე პოემა და მიიღო საპატიო ჯილდო. მეორეს წელს ჰიუგოს მოუკვდა დედა; მამას არ მოსწონდა შვილის ლიტერატურული მოღვაწეობა და როდესაც ვერა გააწყო-რა ურჩ შვილთან, არავითარს შემწეობას აღარ აძლევდა ფულით. ჰიუგო არ შეუშინდა ამ გარემოებას. სწერდა ლექსებს და სხვა თხზულებათ და ამით ირჩენდა თავს. დაიბეჭდა „ოდები და სხვა ლექსები“ რომლისათვისაც მეფემ დაუნიშნა 2,000 ფრან. პენსია.

ვიქტორს ახლა-კი შეეძლო ჯვარი დაეწერა ადელ ფუშეზე, რომელიც წინადვე უყვარდა. შემდეგს წლებში დაბეჭდა რომანი „ჰან ისლანდელი“ და სხვა წერილები. ვიქტორი, როგორც ვსთქვით, ლეგიტიმისტი იყო—მეფეების მომხრე, მაგრამ თან და თან შეიცვალა მიმართულება და 1827 წ. დასწერა „ოდა კოლონას“ და გამოსთქვა ბონაპარტისტული აზრები. მალე დასწერა დრამები „კრომველი“, „მარიონ დელორმი“; პირველი უნდა ეთამაშნა გამოჩენილს ტრაგიკოსს ტალმას, მაგრამ არტისტი გარდაიცვალა და პიესა ვეღარ წარმოადგინეს. „კრომველი“ დასტამბა ჰიუგომ და წინასიტყვაობა უძღვნა, რომელშიაც ამხედრდა ფსევდო-კლასიკურის მიმართულების წინააღმდეგ. „მარიონ დელორმი“ კი აღკრძალა მთავრობამ წარმოსადგენად და პოეტს სანუგეშებლად პენსიის მომატებას დაჰპირდა, მაგრამ ჰიუგომ უარ-ჰყო პენსია და შეუდგა ახალის დრამის „ერნანის“ წერას. ეს პიესა წარმოადგინეს 1830 წ. და მან მთელი ბრძოლა გამოიწვია ძველ „ფსევდო-კლასსიციზმისა“ და ახალ რომანტიულ მიმართულების შორის. „ერნანის“ მოჰყვა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „ლუკრეცია ბორჯია“, „მარიამ ტუდორი“, „რუიბლაზი“ და სხ. და სხ.

ჰიუგოს უფრო და უფრო იზიდავდა პოლიტიკური მოღვაწეობა; დეპუტატთა პალატაში მას შეეძლო შესვლა მხოლოდ აკადემიაში წევრად არჩევის შემდეგ. სამჯერ გაასაღეს ჰიუგო და მხოლოდ მეოთხეჯერ იქმნა არჩეული. ჩვეულებისამებრ მან წარმოსთქვა სიტყვა თვისის წინა მოადგილის ლემერსიეს შესახებ: შეაქო მისი დამოუკიდებლობა და ხასიათის სიმტკიცე და დასძინა, რომ მწერლობის დანიშნულებაა ცივილიზაციის გავრცელება და მტარვალობის და უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტი. ჰიუგო დაიახლოვა მეფემ ლუი ფილიპმ და ხშირად ისმენდა მისს რჩევას. ჰიუგო დანიშნულ იქმნა პალატის წევრად. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მან სალიტერატურო საკუთრების შესახებ, მეორე—პოლონეთის შესახებ; შემდეგ ხმას აღიმაღლებდა ხოლმე იტალიის გაერთიანებისათვის.

1848 წელს ლუი ფილიპე ტახტიდგან ჩამოაგდეს, საფრანგეთში აღიარებულ იქმნა რესპუბლიკა. ჰიუგო ამოირჩია ხალხმა თავისს წარმომადგენლად დამაარსებელ საკრებულოში. ჰიუგო პირველში ყოყმანობდა, არ იცოდა, რომელს ჯგუფს მიჰმხრობოდა, მაგრამ თან და თან დაინახა, რას წარმოადგენდა ლეგიტიმიზმი და მონარქია და სამუდამოდ მოჰშორდა რეაქციას. მისმა წინანდელმა მეგობრებმა მოღალატე უწოდეს ჰიუგოს, რომელმაც უპასუხა: „მკვდარი იდვა დედამიწაზე. ჰყვიროდნენ ეს რესპუბლიკააო. მოვედი და ვნახე, რომ თავისუფლება იყო. ავდეგ და ჯვარი გადავწერე. თვალ-წინ მედგა დაცემა, დამარცხება, გადატაკება, შეურაცხყოფა, განდევნა და ვსთქვი: აგრე იყოს! ამ დღიდგან ჩემს სულს სამუდამოდ შეეთვისა რესპუბლიკა და თავისუფლება!“.

ჰიუგო ყოველ დღე ესწრებოდა საკრებულოს სხდომებს. რესპუბლიკის ხელმძღვანელებად ისეთნი კაცნი შეიქმნენ პრეზიდენტად არჩეულის პრინც ნაპოლეონის მეთაურობით, რომლებსაც რესპუბლიკა იმპერიად უნდოდათ გადაექციათ. ჰიუგო მედგრად იცავდა რესპუბლიკისა და ხალხის ინტერესებს. ჰიუგო წინააღუდგა ფალლუს კანონის სწავლებას თავისუფლების შესახებ, რადგან იცოდა, რომ ამას მოჰყვებოდა კლერიკალურის განათლების გავრცელება. „თქვენ არ გინდათ პროგრესი? უპასუხა ფალლუს მომხრეთ: „თქვენ გამოიწვევთ რევოლუციას!“ თავგამოდებით იბრძოდა მთავრობის ყოველისავე განკარგულების წინააღმდეგ, როდესაც ცდილობდნენ ბეჭდვითის სიტყვის შებორკვას. „ჭეშმარიტი მთავრობა, ამბობდა ჰიუგო: ის არის მხოლოდ, რომელსაც არ ავნებს სინათლის გავრცელება და ხალხის განვითარება“. პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ ჰიუგომ წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელშიაც პირველად ახსენა „ევროპის შეერთებული შტატები“. ჰიუგო ხედავდა კარგად, რა მოელოდა რესპუბლიკას. „სრულებით არ არის საჭირო, ამბობდა პარლამენტში, რომ ერთ მშვენიერს დილას საფრანგეთმა გაიღვიძოს და ჰნახოს, რომ იმპერატორი ჰყავს“. ვიქტორის სიტყვებმა აღიარქოთი ასტეხა. მემარჯვენენი გაბრაზებული იყვნენ, მემარცხენენი ტაშს სცემდნენ. „რაო, განაგრძობდა ჰიუგო: რაკი ათის წლის თითქმის ზღაპრულის, განუზომელის სახელის და დიდების შემდეგ მეტის დაღალულობის გამო ხელიდგან გაუვარდა დიდს იმპერატორს გვირგვინი და ხმალი, თქვენც მოხვედით და გინდათ აიღოთ, როგორც ნაპოლეონმა კარლოს დიდის შემდეგ, აიღოთ თქვენის სუსტის, ბავშვურის ხელით მისი გვირგვინი და ხმალი, ხმალი გოლიათისა? რისთვის, რათ? დიდის ავგისტუსის შემდეგ პატარა ავგისტული?! როგორ, რაკი გვყავდა ნაპოლეონ დიდი, უნდა გვყავდეს ნაპოლეონ მცირეც?!“.

1852 წ. დეკემბრის 2-ს, ნაპოლეონის მიერ რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ, ჰიუგომ ურჩია თავისს მეგობრებს და მომხრეებს იარაღისათვის მიემართათ. სხვებთან ერთად მან გამოსცა პროკლამაციები, რომ ნაპოლეონი მოღალატეა, კონსტიტუციის დამრღვევი“. რესპუბლიკელები შეიარაღდნენ და დაამზადეს ბარიკადები, მაგრამ ძლიერი იყო ნაპოლეონის ჯარი. შეუძლებელი შეიქმნა წინააღმდეგობა. ახალი მთავრობა გაფაციცებით დაეძებდა ჰიუგოს: 25 ათ. ფრანკს დაჰპირდა მის მკვლელს ან დამჭერს, მაგრამ ჰიუგომ მოასწრო ბრიუსელში გაქცევა. ბელგიელებმა დიდის პატივის ცემით მიიღეს სახელოვანი მამულის შვილი. მხოლოდ ნაპოლეონ მესამემ მალე ძალა დაატანა ბელგიას და გააძევებინა ჰიუგო. მაშინ ჰიუგო დასახლდა ინგლისის სამფლობელოში კუნძულ ჯერსეიზე. აქედან კალმით და სიტყვით ებრძოდა ნაპოლეონს და აქეზებდა თანამემამულეთ ტირანის დასამხობად.

ნაპოლეონის მეოხებით ჰიუგო იძულებული იყო სხვა კუნძულზე—გერნსეიზე გადასულიყო. აქ მუშაობაში ატარებდა დროს მთელი ოჯახი ჰიუგოსი. ქალიშვილი სწავლობდა მუსიკას და სწერდა სამუსიკო პიესებს; უფროსი შვილი სწერდა რომანებს და დრამებს, უმცროსი ჰთარგმნიდა შექსპირს. ჰიუგოს სახლი თავშესაფარი იყო ყველა სამშობლოდგან გამოძევებულისათვის. გერნსეიზე ჰიუგომ, სხვათა შორის, დაამთავრა თავისი რომანი „საბრალონი“, რომელსაც უძღვნა წინასიტყვაობა: ვიდრე არსებობს სიღარიბე, გაუნათლებლობა, ვიდრე კაცობრიობის ერთი ნაწილი ახრჩობს მეორეს,—ამისთანა წიგნს ყოველთვის ექნება გასავალიო.

რომანმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია საფრანგეთში, ბევრმა უსაყვედურა ჰიუგოს რადიკალობა; ამის გამო ჰიუგომ მისწერა ლამარტინს: „საზოგადოება, რომელშიაც არსებობს სიღატაკე, მათხოვრობა, იმი—არის დაბალი საზოგადოება; ჩემი იდეალია უფრო მაღალი კაცობრიობა: მე მინდა, რომ ყოველი კაცი მესაკუთრე იყოს და ბატონი-კი არავინ!“

ჯერ კიდევ 1829 წელს დასწერა ჰიუგომ სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“. იმავე საგნის შესახებ მან დასტამბა 1834 წ. „კლოდ გე“, რომელიც დაამთავრა შემდეგის სიტყვებით მთავრობის მიმართ: „მოწყალენო ხელმწიფენო, საფრანგეთში ყოველ წლივ მრავალს კაცს სჭრიან თავს; თქვენ ეხლა ხარჯების შემცირებას სცდილობთ—ეკონომია გასწიეთ აქაც და გაამრავლეთ სახალხო მასწავლებელთა რიცხვი… გაანათლეთ ხალხი და აღარ დაგჭირდებათ თავების მოჭრა“.

კუნძულზე ყოფნის დროს ჰიუგოს არაერთხელ აღუძრავს შუამდგომლობა ამა თუ იმის სიკვდილის დასჯისაგან განთავისუფლებისათვის. მისის ზედგავლენით ჟენევის კანტონმა მოსპო სიკვდილით დასჯა, პორტუგალიის პარლამენტმა ამოშალა იგი თავის სჯულდებიდგან.

ექსორიობაში ჰიუგომ დასწერა კიდევ „ზღვის მუშაკი“, „ადამიანი, რომელიც იცინის“. 1867 წ. საფრანგეთში გაიმართა მსოფლიო გამოფენა და განათლების მინისტრმა მოახსენა ნაპოლეონს, რომ უცხოელების წინაშე შევრცხვებით, თუ ჰიუგოს პიესების წარმოდგენის ნება არ დავრთეთ. იმპერატორმა ნება დართო ზოგიერთ პიესის წარმოდგენისა. ჰიუგოს პიესებმა აღტაცებაში მოიყვანს საზოგადოება. მთავრობას შეეშინდა და კვლავ აღკრძალა „ერნანი“. იმავე დროს დაიბეჭდა ჰიუგოს „წერილი გერნსეიდგან“. წერილში ჰიუგო ჰკიცხავდა ნაპოლეონს იტალიის დამცირებისა და გარიბალდის წინააღმდეგ ბრძოლისათვის“.

თუმცა ძლიერ ენატრებოდა ჰიუგოს სამშობლოს ნახვა, მაგრამ არ მიიღო წყალობა იმპერიისა და არ დაბრუნდა საფრანგეთში: იმპერატორს არა აქვს უფლება უდანაშაულოს პატიებისაო.

1870 წ. იმპერია დაემხო. ჰიუგო მხოლოდ ახლა, 19 წლის ექსორიობის შემდეგ გამოეშურა სამშობლოსკენ. ცრემლები წამოუვიდა თვალთაგან, საფრანგეთში რომ შემოდგა ფეხი. ჰიუგომ გერმანელთა ადამიანურ გრძნობას მიჰმართა: „იცოდეთ, რომ თქვენთვის გამარჯვება უპატიოსნება იქნებაო“. გერმანელებმა რისხვით უპასუხეს. მაშინ ჰიუგომ მხურვალე წერილით მოუწოდა საფრანგეთის ერს სამშობლოს დასაცველად. სხვებთან ერთად შეუდგა შეიარაღებას და პარიზის გამაგრებას, ჰიუგო ჩაეწერა ნაციონალურ გვარდიაში.

ომის გათავების შემდეგ ჰიუგო ამოირჩიეს პალატის დეპუტატად. იგი წინააღმდეგი იყო ელზას-ლორენის დათმობისა…

შემდეგ ჰიუგომ დასწერა „93 წელი“, „ერთის დანაშაულობის ისტორია“ (რომელშიაც აწერილია ნაპოლეონ III-ის მიერ რესპუბლიკის გაუქმება) და სხ.

ჰიუგოს ძლიერ უყვარდა მუშა ხალხში ყოფნა და მასთან ლაპარაკი; მისი ღრმად კეთილი და ადამიანური გული კარგად ჰხედავდა, ხალხის უბედურობის მიზეზი ვინ იყო…

ვიქტორ ჰიუგო გარდაიცვალა 22 მაისს 1885 წელს ნაშუადღევის მეორე საათზე და მისი სიკვდილი იყო საფრანგეთისათვის საერო გლოვა. პარლამენტმა შესწყვიტა მუშაობა, სკოლები და მთავრობის დაწესებულებანი დაიკეტა. 600,000 კაცმა მიაცილა ჰიუგოს გვამი საუკუნო განსვენების ადგილს.

მიწის ძვრის ამბები.

შემახა.

⁂ სხვა შენობათა შორის დაინგრა აგრეთვე ყველა—(თორმეტი)—აბანოები, რომელთა ნანგრევთ ქვეშ მოჰყვა უმრავლესობა დაღუპულ ქალთა და ბავშვთა. ამ აბანოთაგან ამ თვის შვიდამდე გადათხარეს მხოლოდ შვიდი. ერთს მათგანში ნახეს მხოლოდ რვა მკვდარი, თუმცა ადგილობრივ ხალხის სიტყვით მიწის ძვრის დროს ამ აბანოში იყო ორმოცამდე ქალი. უმეტეს ნაწილად მკვდრებს პოულობენ კარებთან, სადაც მივარდნილან მიწის ძვრისაგან შეშინებულნი. აბანოს შუაგულში, 5 თებერვალს შუადღის 12 ს., ნახეს ერთი ცოცხალი ქალი. ეს ამბავი უცებ მოედო მთელს შემახას. სახელი ამ ქალისა თაჯიმა, ვიღაც იუზბეკის ცოლია. საბრალოს თავი გატეხილი ჰქონდა და ყური მოგლეჯილი. ერთმა ქალმა იცნო იგი და თავისი ჩადრი მოახვია. მეორე აბანოშიც ნახეს ცოცხალი ქალი—ფატმა ხანუმი. როცა მოასულიერეს, ფატმამ შემდეგი უამბო იქვე მყოფთ: აბანოში 30 ქალი ვიყავით. უეცრად დაბნელდა, კედლებს შენალესი სცვიოდა… მივხვდით, რომ მიწის ძვრა იყო და შუაგულს აბანოში იატაკზე დავჯექით. დიდ-ხანს ვიყავით ფხიზლად, ბოლოს ძილი მოგვეკიდა. მე რომ გამომეღვიძა, ძლიერი წყურვილი ვიგრძენ. წყალი აღარსად იყო, სულ წასულიყო აბანოდგან. ამხანაგები გავაღვიძე, ყველას ჩემსავით სწყუროდა. გავიხედე და (უეჭველია, ფატმა გალიუცინაციით შეპყრობილი ყოფილა იმ დროს) შემოვიდა ვიღაც კაცი, რომელმაც ცივი წყალი დამალევინა და საუცხოვო ვაშლები მომცა. ამის მეტი არაფერი მახსოვს“… ამ ნაამბობს შემდეგ მხოლოდ 10 წამი კიდევ იცოცხლა ფატმა ხანუმმა და განუტევა სული…

შვიდს ამ თვემდე ამოთხარეს და დამარხეს 840 გვამი, უმეტეს ნაწილად ქალი და ბავშვი. ბაზარში ამდენს ხანს შეუძლებელი იყო ნანგრევთა თხრა, რადგანაც ცეცხლი ჯერ ჩაუქრობელი იყო. ერთს ვაჭარს, სომეხს ცატუროვს, საზარელი ამბავი შეემთხვა. მიწის პირველ ძვრისათანავე მან მოასწრო დუქნიდგან გამოსვლა, მაგრამ გზაზე გაახსენდა, რომ დახლში ფული დაავიწყდა და დაბრუნდა. შევიდდუქანში, მოავლო ხელი დახლში ჩაწყობილს 15 ას მანეთიანს და გამოჰქანდა. მაგრამ კარებში მოუსწრო მიწის ახალმა ძვრამ და იქვე გაჭყლიტა. მისი გვამი რომ ამოთხარეს, შეამჩნიეს ხელში მაგრად დაჭერილი ას მანეთიანები. საწყალს დარჩა მოხუცებული დედ-მამა.

ერთის კვირის განმავალობაში მიწა განუ-

წყვეტლად იძვროდა.

ადმინისტრაციისა და ბაქოელთა წარმომადგენლების შეერთებულმა კრებამ თებერვლის 7-ს გადასწყვიტა დაზარალებულ შემახელთა კომიტეტი დაჰყოს შემდეგ კომისიებად: პირველი კომისია იქნება საექიმო სანიტარული, მეორე—სასურსათო, მესამე—შემახიიდგან წამსვლელთა დამხმარებელი, მეოთხე—ნანგრევთა მთხრელი და მეხუთე—დანგრეულ შენობათა აღმშენი. მთელს შემახაში იყო სულ 5,000 შენობა. ამათგან სრულიად დაინგრა 4,500 და დანარჩენი 500 ისე დაზარალდა, რომ დასანგრევი და ხელ-ახლად ასაშენებელია.

თებერვლის 8-ს კომისიების შეერთებულ სხდომებზე გამოირკვა, რომ სურსათს ამ ჟამად ისე არ საჭიროებენ დაზარალებულნი, რამდენადაც ფულს, ქეჩებს, ურმებს და კარვებს.

კომიტეტი ზრუნავს აგრეთვე მიდამო სოფლებისათვის, სადაც გაგზავნა ექიმები, პური და კომისიები. თებერვლის 7-ს შემახაში დასთოვა. საექიმო შველა იმდენად აღარ სჭირია აქაურობას. საჭიროა მხოლოდ ფული, ფული და ფული. ქალაქის ყველა უბანში ჯერ ვერ ახერხებენ ნანგრევთა თხრას, რის გამო დაღუპულ კაცთა და პირუტყვთ გვამები იხრწნება და მყრალი სუნი ედება მთელს არე-მარეს. განზრახვა აქვთ ჯერ გადუთხრელ ნანგრევებს კირ-წყალი გადაასხან. დღეს, ღამით, ქალაქის ქვემო უბანში კიდევ შეირყა მიწა და დაასგრია ის კედლებიც, რაც ოდნავ გადარჩენილი იყო აქა-იქ („კასპი").

⁂ შემახაში მყოფ ექიმებისაგან თებერვლის შვიდამდე შეკრებილ ცნობებით დაღუპულთა რიცხვი 1,300-მდე უნდა იყოს, ე. ი. $6\frac{1}{2}\%$ მცხოვრებთა მთელის რიცხვისა (სულ 22,000). მათ შორის 750 ბავშვია, 480 ქალი და 70 მამაკაცი. დღეს ამოთხარეს 20 ცხენი, მათ შორის 2 ცოცხალი. ამოიღეს ერთი 15 წლის ქალის გახრწნილი გვამი.

⁂ თებერვლის 8-მდე „კასპის" რედაქციას მისვლია ფულად შეწირულება იქაურ მცხოვრებთაგან 13,528 მან. და 28 კაპ.

იმავ დროს განმავლობაში ბაქოს პოლიცმეისტერს შეუკრებია შემახელ დაზარალებულთათვის 1,055 მან. და 20 კაპ.

⁂ იმავე საგნისთვის ამ თვის 12-მდე „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქციას შეუკრებია 1,423 მან. და 25 კაპ., „ტფილისის ფურცელს" 1,456 მან. 54 კაპ., „კავკაზს" 3,014 მანეთი და 29 კაპეიკი.

ახალი ამბავი

⁂ გამოცხადდა სია უმაღლესად დაჯილდოვებულთა პრაპორშჩიკობის ჩინით საპატიო ყარაულში სამსახურის გამო. როგორც „კავკასში" ვკითხულობთ, დაჯილდოვებულნი არიან:

მილიციის იუნკრები თავადნი: წულუკიძე გრიგოლი, ჯაფარიძე ვალერიან, დადიანი ნიკოლოზ, ჩიჩუა დიმიტრი, იგივე დეისმა, ფალავა ნოე, იგივე კოწია, ახვლედიანი დისიონ, ერისთავი ალექსანდრე, აზნაურნი: ცომაია ნიკო, იგივე კონსტანტინე და მაჭავარიანი არჩილ; არა სამხედრო წოდებისანი: ტფილისის გუბერნიის მცხოვრებნი თავადნი: თარხნიშვილი დიმიტრი, მალალაშვილი ალექსანდრე, ციციშვილი ივანე, ციციშვილი დავით, ფალავანდიშვილი ვასილ, ერისთავი დავით, ჩოლოყაშვილი მიხეილ, ავალიშვილი ვასილ, ყარალაშვილი დიმიტრი, მაყაშვილი ალექსანდრე, ჯანდიერი სოლომონ, აბხაზი ლევან, ჯანდიერი რაჟდენ, ბაგრატიონ-მუხრანსკი დავით, ერისთავი გრიგოლ, ციციშვილი ესტატე, ერისთავი ალექსანდრე, ანდრონიკაშვილი ლევან, აზნაურნი: თულაშვილი გიორგი, ანანიაშვილი ალექსანდრე, სავანელი გიორგი, იედიგაროვი ნადირ-ბეგი, იედიგაროვი ალი-ბეგი, იედიგაროვი სადიყ-ბეგი, და ნაცვლიშვილი თადეოზი; ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი: თავადნი—ჩხეიძე გიორგი, აგიაშვილი კონსტანტინე, მიქელაძე ვლადიმერ, ერისთავი ნესტორ, მაჭუტაძე ნიკოლოზ, წერეთელი ფრიდონ, წერეთელი გიორგი, წულუკიძე იასონ, წულუკიძე დავით, დადიანი ბეგლარ, მხეიძე ლევან, მხეიძე ვლადიმერ, დადიანი ნიკოლოზ, კოჩაქიძე ნიკოლოზ, მხეიძე სოლომონ, გელოვანი ნიკოლოზ, გელოვანი ანდრია, მიქელაძე დავით, ლორთქიფანიძე ალექსანდრე, მიქელაძე ალექსანდრე; აზნაურნი: გაბაშვილი ალექსანდრე, ლორთქიფანიძე ალექსანდრე, შარაშიძე ალექსანდრე, ხუნდაძე ვლადიმერი, წერეთელი იასონ, ქორთუა მიხეილ და ახვლედიანი პლატონი.

⁂ თელავიდგან გვწერენ: 22 თებერვლისთვის არის დანიშნული მეჯლიში (ბალი), ცოცხალი სურათებით, წმ. ნინოს პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე ქალთა სასარგებლოდ. ამ მეჯლიშისათვის ბევრი ემზადება, რადგანაც ასეთი მეჯლიში პირველია თელავში. ცოცხალი სურათები ქართულის ცხოვრებიდგან არის ამოღებული, მაგალითად: დიმიტრი თავდადებულიდგან, ქეთევან წამებულიდგან და სხვ.

იქიდგანვე: „გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ჩვენის ნიჭიერ მსახიობის ვ. აბაშიძის იუბილეს 10 მარტისთვის აპირებენო. კარგი იქმნებოდა, ეს უფრო ადრე გამოეცხადებინათ. თუ შესაძლებელია, ვთხოულობთ, რომ იუბილეს დღე იქით გასწიონ, რადგანაც პროვინცია აგრე ჩქარა ვერ მოემზადება; აგრეთვე კარგს ინებებს დრამატიული კომიტეტი, რომ შეადგინოს პროგრამა იუბილესი და გაუგზავნოს პროვინციის სცენის მოყვარულთ, რომელთაც ამით გაუადვილებს დღესასწაულის გადახდას.

⁂ სოფელ ბელაქნიდამ ჩამოვიდა ცნობილი მებაღე ჰაჯი-ისმაილ ისმაილ-ოღლი და ჩამოიტანა სამეურნეო საზოგადოების სადგურში მრავალი ნერგები გასასყიდად. ჰაჯი ისმაილის სანერგე სოფ. ბელაქანში, ხეხილთა ჯიშით, ერთი უკეთესთაგანია მთელს საქართველოში. მისს სანერგეს ჯეროვანი სახელი აქვს დამსახურებული ადგილობრივ მებაღეთა შორის და რამდენიმე ჯილდოც მიუღია სამეურნეო საზოგადოებათაგან. ვურჩევთ ჩვენს მეურნეებს შეიძინონ ჰაჯი-ისმაილის ნერგები და მოაშენონ თავიანთს მამულში. თუ თვითონ არა, შვილები მაინც ნახვენ, რა სასარგებლო ყოფილა კარგის ჯიშის ხეხილების გაშენება მამულში. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ჰაჯი-ისმაილი თავის ნერგებს ჰყიდის იაფად—40—50 კაპ. თითოს.

⁂ კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ერთხმივ დაადგინა, რომ ამ ადგილზე მოწვეულ იქმნეს პეტრე გრიგოლის ძე ივანოვი, რომელმაც პირველის ხარისხით გაათავა პეტერბურგის უნივერსიტეტი და შემდეგ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტი პირველ ხარისხის „აგრონომის" წოდებით. ეხლა საზოგადოება ამ არჩევანს დასამტკიცებლად ჰგზავნის მიწათ მოქმედების სამინისტროში.

⁂ გუშინ ტფილისში იდღესასწაულეს მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის ალექსის სახელწოდების დღე სასულიერო სემინარიამ, ეპარქიალურმა საქალებო და სასულიერო სავაჟო სასწავლებლებმა. ეგზარხოსი ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა თავისს ეკკლესიაში, სადაც გალობდნენ ყველა ზემოხსენებულ სასწავლებლების მგალობელნი გუნდნი. წირვას აგრეთვე დაესწრნენ სემინარიის მეექვსე კლასის ყველა მოსწავლენი.

⁂ ამ თვის 10-ს, შუადღის 1 საათზე, უეცრად გარდაიცვალა წვეთის დაცემით ნიჟეგოროდის დრაგუნთა რაზმის კომანდირი ბენედიკტე ვიქტორის ძე პეტროვი, შობიდგან 46 წლისა.

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოგზაურის" მეორე ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) ამერიკის სიძველენი, 2) მთიულთ ცხოვრებიდამ. ე. გუგუშვილისა, 3) ჰერეთის აღწერა, ინგილო ჯანაშვილისა, 4) ამბავი კნეინა ეკატერინე ჩიჩუასი, 5) ქართული სიტყვიერების ისტორია, ევ. კ—ისა, 6) ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, თარგმანი ალ. ტატუნაშვილისა, 7) ანტონი I კატალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თხზ. თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა, 8) სატირალი ანუ გასვენება, აფრ. მერკვილაძისა, 9) ქართველთ მოქცევა, ლ-ისა.

⁂ იმავე ნომერთან მივიღეთ ჟურნალის დამატება შემდეგის შინაარსისა: I პედაგოგია: 1) საზეპირო წიგნები და მათი მავნებლობა, 2) ბანქოს თამაში და მისი გამხრწნელი გავლენა საზოგადოებასა და ახალგაზრდობაზე, ტ. ართმელაძისა. II მეურნეობა-მრეწველობა: 3) ზამთრისა და გაზაფხულის პური, 4) მებაღობის წარმატება ამერიკაში, 5) ღვინის ავადმყოფობანი, ალ. დარეჯანიშვილისა, 6) ოქროს მადნები, 7) შინაურ საქონლისათვის საკვებავი ბალახების თესვა-მოყვანა. ჯორის ძუა. III. ჰიგიენა-მკურნალობა: 8) ადამიანის კუნთები, 9) ადამიანის ტვინი და ნერვები, 10) პირისა და სასის გასინჯვა. IV სამეცნიერო ნარევი: 11) როგორია ზღვის ზედა-პირი: სწორე თუ ჩაზნექილი? 12) ზნეობა და პოლიტიკური ეკონომია, ივანდიდელისა.

კახეთის სამრევლო სკოლების მიმოხილვა მ. ვოსტორგოვის მიერ და მისი შეხედულება სწავლაზედ.

(წერილი თელავიდგან)

ათი თუ თხუთმეტი წლიწადი მეტია, რაც დაარსდა კახეთის სამრევლო-საეკკლესიო სკოლები. ზოგი მათგანი წნულს ქოხში მოთავსდა, ზოგი—ეკკლესიის საყარაულო ოთახში, ზოგი—თვით გაუქმებულ ეკკლესიაში და ზოგიც ქირით აღებულ სახლში. ამ გარეგან სიმდიდრეს შეხამებული ჰქონდა სკოლის შინაური მოწყობილებაც; ზოგან ასწავლიდა მეფსალმუნე, ზოგან—მთავარი, ზოგან მღვდელი და ზოგან მნათე; იშვიათად საკუთარი მასწავლებელი.

რასაკვირველია, სხვა-და-სხვა გვარი იყო მომზადება მასწავლებელთა და ნაყოფიც სკოლას სხვა-და-სხვა ფერი მოჰქონდა. ან ვის რას უსაყვედურებდი, როდესაც არაფერი არ მიგეცა? რა უფლებით მოსთხოვდი რისამე ჩაბარებას, რაც არ ჩაგებარებინა?

ასეთი იყო კახეთის სამრევლო სკოლების მდგომარეობა და ახლაც უმეტესობა ასეთსავე მდგომარეობაშია. მართალია, არის ორიოდე რიგიანი სკოლა, მაგრამ ეს ანგარიშში მოსატანი არ არის. საზოგადოდ, კახეთის სკოლები თითქოს უფრო იმისთვის იყო დაარსებული, რომ მთავრობას წარსდგენოდა, ამდენი და ამდენი სამრევლო-საეკკლესიო სკოლა არსებობს კახეთშიო; ამდენი ვაჟი და ამდენი ქალი სწავლობს მათშიო; გაკეთებით-კი ბევრი არა კეთდებოდა-რა ამ სკოლებში.

დიაღ, კახეთის სამრევლო სკოლები არ წარმოადგენდა არაფერს სანუგეშოს და არც არა გასაკვირველია-რა, თუ იგინი არავისგან დიდს თანაგრძნობას არ იწვევდნენ და არ მრავლდებოდნენ.

წელს ამ იანვრის ბოლო რიცხვებში მოვიდა აქ ოლქის ზედამხედველი მ. ვოსტორგოვი და, სულ თუ არა, ზოგი მაინც ამ სკოლათაგანი ინახულა თავისის თვალით. რასაკვირველია, ის სკოლები, რომლებიც არავითარ დახმარებას არსაიდგან არ იღებდნენ, ვერ დაჰხვდნენ სანუგეშო მდგომარეობაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. არარაისაგან არარა წარმოსდინდება. მიეცი რამე და მაშინ მოსთხოვე, რაც გინდა. თუ არა და მარტო ბრძანება და მაღალი ფრაზები—სკოლები გახსენითო, არა კმარა. თუნდ ეს ბრძანება შესრულდეს, მაინც ის სკოლა არ იქნება; იქნება მარტო სახელი. ნათქვამია, ცარიელ ჯამში ხელს არავინ ჩაჰყოფსო. ეხლანდელ გაჭირვებულს ცხოვრებაში ყველა იმასა ფიქრობს, ჯერ ცოლო და შვილო და მერე, ძმაო მოყვასოო. ღვდელია თუ ერი, ასე მოსაზრეობს: მე რომ დავსდგე და მთელი დღე უსასყიდლოდ ჩემისავე ხარჯით გამართულს სკოლაში თავი ვიმტვრიო, ჩემი ბალღები ვილამ შეინახოსო! აბა, დღეში თვითო გაკვეთილი უფასოდ რამდენსამე წლობით თვითონ ჩემმა მბრძანებლებმა აძლიონ, ვნახოთ რას იტყვიანო? სწორედ საქმე ესე არის და მ. ვოსტორგოვმა ამ მხრივ შეჰხედა საქმეს და აღიარა საჭიროდ, რომ სკოლის ყოველს მასწავლებელს, ვინც უნდა იყოს, დაბაში იქნება თუ გარეშე, ჯამაგირი დაენიშნოს, თუ ბევრი არა, ჯერ-ჯერობით ცოტა მაინც. დიაღ, თუ ეს ასე ასრულდა, მაშინ კახეთის სამრევლო სკოლების ბედი ძირიანად შეიცვლება და ბევრადაც დაწინაურდება.

მამა ვოსტორგოვმა ინახულა, სხვათა შორის, აწყურის ორ-კლასიანი სკოლა თავისის სამეურნეო და საბაღოსნო განყოფილებით და და ის აზრი გამოიტანა, რომ უმჯობესია სამეურნეო განყოფილება მთლად გაუქმდეს, ვიდრე დარჩეს იმ სამარცხვინო მდგომარეობაში, რომელშიაც აქამომდის იგი ყოფილა. ეს-კი ვგონებ უსამართლობა იქნება, რადგანაც თუ სამეურნეო განყოფილება ვერ არის სანუგეშო მდგომარეობაში (და რომ ეს ასეა, ამას არც ჩვენ უარსვყოფთ), ამას საკუთარი მიზეზი მოეპოვება და აქ საჭიროა ამ მიზეზის მოსპობა და არა თვით სამეურნეო განყოფილების გაუქმება; მით უმეტეს, რომ ბ-ნმა ს. ლ. მელვინეთხუცესოვმა მამული შესწირა სკოლას იმ პირობით, რომ დაარსებულიყო ორ-კლასიანი სამეურნეო და არა უბრალო ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა.

სწავლის მხრივ დიდად ნასიამოვნები იყო მამა ვოსტორგოვი მასწავლებლის ქ. თამარ ზაქარიას ასულის სვიმონიშვილის მიერ და ღირსადაც სცნო იგი ჯილდოსი.

ზედამხედველმა ინახულა აგრეთვე თელავის სამრევლო სკოლები და სწავლის მხრივ იქაც უკმაყოფილება არ გამოუცხადებია, მხოლოდ საჭიროდ სცნო, რომ თელავის ფერისცვალების ეკკლესიის სკოლას გამოეცვალოს ბინა და დაქირავებულ იქმნას მოწყობილი და ფართო შენობა.

შემდეგ მ. ვოსტორგოვმა დანიშნა კრება სასულიერო სასწავლებლის დარბაზში და მოიწვია მახლობელ სოფლების და ქალაქის სამღვდელოება. ზედამხედველი გულ-ახდით მოელაპარაკა, თუ სად რა ნაკლულევანება ან სიკეთე ინახულა და რა სცნო საჭიროდ, რომ სკოლების საქმე წარმატებაში შევიდეს. საჭიროდ სცნო, რომ თელავის სამრევლო სკოლებს მომავალის სამოსწავლო წლიდგან ჰყავდეს საერთო საკუთარი გალობის მასწავლებელი ჯეროვანის ჯამაგირით, რომელიც კიდეც იქმნა დასახელებული. სხვათა-შორის, განუმარტა ყველას და სთხოვა, რომ მტკიცედ დამდგარიყვნენ იმ პედაგოგიურ პრინციპზედ, რომელიც თხოულობს სწავლის საქმეში გადასვლას ახლოდგან—შორს, მარტივიდგან რთულზედ, შინაურიდგან—გარეულზედ, ხილულიდგან განყენებულზედ და მშობლიურიდგან—უცხოურზედ. გულით სთხოვა, რომ, სწავლაში ეხელმძღვანელათ მარტო-ოდენ პედაგოგიურის პრინციპით და ჰუმანიურის მოსაზრებით. ჩემის ღრმა რწმენით, საფუძვლიანად უთუოდ უნდა დაედოს სწავლას მშობლიური ენაო. უმეტესად ამ ენაზედ უნდა ისწავლებოდეს სამის წლის განმავლობაში ყოველი საგანი და მისისავე საშუალებით ემზადებოდნენ ყმაწვილები მეოთხე კურსისათვის, რომელიც იქნება დამთავრებული სახელმ-

ფელეტონი

სკოლის რეფორმის გამო.

ქალი, როგორც ბავშვის აღმზრდელი.

იმ დღიდგან, რაც მთავრობამ უვარგისად იცნო კლასიკურის ტიპის სკოლები, გაზეთებიც ალაპარაკდნენ. თითქმის ყოველ დღე წაიკითხავთ გაზეთებში, რომ ეხლანდელი სკოლა არ შეესაბამება დღევანდელ საზოგადოებრივ წყობილებას... ვიმეორებ, ძალიან ბევრსა სწერენ, მაგრამ აზრად მხოლოდ ვაჟების სკოლა აქვთ. რაც შეეხება ქალებს, ისინი, როგორც ყოველთვის, დავიწყებულნი არიან, მაშინ როდესაც დროა იმათ სწავლა-განათლების საქმესაც მიექცეს ყურადღება, რადგანაც დედა-კაცებიც საზოგადოების ისეთივე საჭირო წევრნი არიან, როგორც მამაკაცები. მეოცე საუკუნეში შეუფერებელია ის აზრი, რომ დედა-კაცები ყოველ მხრივ დაბლა სდგანან მამა-კაცებზედ და არავითარ სერიოზულ საქმისთვის არ ვარგანან. აქ არ გამოვუდგები ამ შემცდარ აზრის დარღვევას; ვიტყვით მხოლოდ, რომ ცხოვრებამ სულ სხვა აზრი დაგვიმტკიცა და ცხადად დაგვანახვა, რომ დედა-კაცები არაფრით არ ჩამოუვარდებიან მამა-კაცებს.

საკმარისია კაცმა თვალი გადაავლოს ამერიკისა და ევროპის ცხოვრებას და დარწმუნდება, რომ ქალებს იქ ძალიან თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უჭირავთ. დედა-კაცები თან-და-თან ამტკიცებენ, რომ ისინი ფრიად საჭირონი და სასარგებლონი არიან საზოგადოებისათვის და ერთის მხრივ ამით აიხსნება ის ყურადღება, რომელიც დღეს დედათა საქმეს აქვს საზღვარ-გარედ მიქცეული.

ჩვენში-კი უმრავლესობა ისევ იმ აზრისაა, რომ დედა-კაცები მხოლოდ შთამომავლობის განსაგრძობად და ბავშვების აღსაზრდელად არიან გაჩენილნი, რომ თითონ განგებამ მოავლინა ისინი ამ საქმისთვის და ქალებიც არ თხოულობდნენ თავისთვის იმას, რაც არ ეთანხმება მათს ბუნებრივ დანიშნულებას. ვთქვათ, ქალების დანიშნულება მარტო ბავშვების აღზრდაშია.—შეუძლიან-კი ქალს ამ მოვალეობის რიგიანად შესრულება?!.

ყველამ იცის, რომ ბავშვის აღზრდა ძალიან სერიოზული და ძნელი საქმეა! აქ აღმზრდელი უნდა იყოს აღჭურვილი დიდის ცოდნით და საქმის სიყვარულით, რომ აღზარდოს ბავშვი ისე, როგორც რიგი და წესია. აღმზრდელობა არის თავისებური სპეციალური საქმე და, როგორც არც ერთი სპეციალური საქმე არ შეიძლება გაკეთდეს, თუ რიგიანად არა აქვს შესწავლილი თვით საქმე, სპეციალურად არ არის მომზადებული, ისე აღმზრდელი ვერ შეასრულებს თავის საქმეს, თუ სპეციალურად არ მოემზადა ბავშვის აღსაზრდელად. დედობრივი ინსტიქტი, რომელზედაც ასე უყვართ ლაპარაკი, ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, მარტო ამაზედ არ შეიძლება დამყარდეს ბავშვების აღზრდა.

ინსტიქტი ვერასოდეს ვერ იზამს იმას, რასაც ცოდნა და გამოცდილება. აღმზრდელმა უსათუოდ უნდა იცოდეს ფსიხიური და ფიზიკური კანონები, რომლითაც ბავშვის აღზრდის დროს უნდა ჰხელმძღვანელობდეს; აგრეთვე რიგიანად უნდა იცნობდეს ეხლანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რადგანაც საზოგადოებრივი ურთიერთობა ზემოხსენებულ კანონებზედ არის დამყარებული.

ყოველმა მოხელემ, ვიდრე მუშაობას დაიწყებდეს, კარგად უნდა იცოდეს იმ მასალის თვისება, რომლისასაც რაიმე საგანს აკეთებს; ამასთანავე უნდა ჰქონდეს კარგი პრაქტიკული მომზადება, რაც აუცილებლად საჭიროა მასალის შემუშავებისათვის და საგნის გასაკეთებლად.

ესევე მოეთხოვება იმათ, რომელნიც ჰკიდებენ ხელს ბავშვის აღზრდას, მის ხასიათის საზოგადოდ მთელის მისის არსების გადასხვაფერებას.

რა მეჭურჭლეა კაცი, თუ არ იცის იმ მიწის თვისება, რომლის შემწეობითაც ამა თუ იმ ჭურჭელს აკეთებს?!.

როდესაც ტანისამოსის შეკერვა გვინდა, ვეძებთ მკერვალს, რომელიც სპეციალურად არის მომზადებული, იცნობს იმ მასალას, რომლის მეოხებითაც ტანისამოსს ჰკერავს და კარგადაც ჰხმარობს ნემსს.

ქუდს ვაკერვინებთ მექუდეს, პურს ვაცხობინებთ მეპურეს და სხვა...

ყველას, ვინც აქ ჩამოვთვალეთ, სპეციალურად აქვს შესწავლილი თავისი საქმე, ყველას პატივსა ვცემთ და ვაფასებთ, რადგანაც ყველა საჭიროა ჩვენთვის.

ბავშვების აღზრდას-კი არ ვაქცევთ იმისთანა ყურადღებას, როგორიც შეეფერება და რომ არ ვაქცევთ ყურადღებას, ეს იქიდანა სჩანს, რომ ამ სერიოზულ საქმეს ვავალებთ ქალებს, რომელნიც სრულებით არ არიან ამისათვის მომზადებულნი.

მე აქ მაქვს ლაპარაკი პირველ-დაწყებით აღზრდაზედ, რომელიც კაცის ცხოვრებაში უმთავრეს მომენტათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სწორედ ამ დროს იდება კაცის ზნეობრივი საფუძველი, რომელზედაც შემდეგში შენდება კაცის ხასიათი, ზნე და ჩვეულება.

ის, ვინც სხვის აღზრდას ჰკიდებს ხელს, თითონ უნდა იყოს აღზრდილი და ყოველ მხრივ განვითარებული.

ქალი-კი, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფება ბავშვი პირველ ხანებში, სრულებით არ არის მომზადებული მისთვის, რომ ბავშვის აღზრდა შესძლოს.

საკმარისია კაცმა თვალი გადაავლოს კაცობრიობის კულტურის ისტორიას და დარწმუნდება, რომ ქალი საუკუნოებით მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

როგორც მონა, დედა-კაცი იმყოფებოდა მამა-კაცის ბატონობის ქვეშ და მოკლებული იყო ყოველ-გვარ უფლებას.

ქალი იჯდა სახლში და აკმაყოფილებდა ოჯახის ყოველგვარ მოთხოვნილებას.

ამას მოითხოვდა ძველებური ოჯახის ინტერესი.

დროთა ვითარებამ ქალის ეკონომიური მდგომარეობა შესცვალა.

ეხლანდელმა შრომის განაწილებამ გამოაცალა ქალს ხელიდგან კერვა, ქსოვა და სხ.. ხოლო მისი პოლიტიკური მდგომარეობა დარჩა ისევ იმ ძველს ვითარებაში.

ცხოვრება ვითარდებოდა და მიექანებოდა წინ სწრაფის ნაბიჯით; ქალი-კი იჯდა ოჯახში და ცხვირის გამოყოფა არ შეეძლო გარედ, რა ცვლილება ხდებოდა მის გარეშემო, რას ითხოვდა ახალი ცხოვრება, მისთვის გაუგებარი იყო.

მამა-კაცი, რომელიც ისევ ისე ქალის ბატონ-პატრონათ დარჩა, სრულებითაც არა სცდილობდა აეხსნა და გაეგებინებია მისთვის, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა გამოიცვალა, რომ ახალმა ცხოვრებამ წამოაყენა ახალი ჭირ-ვარამი... პირ-იქით, მამა-კაცი იმ აზრისა იყო, რომ ქალმა არ უნდა იცოდეს და ვერ შეიგნებს ეხლანდელ ცხოვრებას, —მისი საქმეა ოჯახი, ბავშვების აღზრდა და სხვა არაფერიო.

დედა-კაცის სულიერი კეთილობა მამა-კაცს არასოდეს არ აინტერესებდა და, საუბედუროდ, არც ეხლა აინტერესებს.

მისთვის საჭირო და სინტერესო იყო და არის მხოლოდ ქალის ფიზიკური აგებულება: სალი ტანი, მაღალი ყელ-მკერდი და ლამაზი პირის-სახე; —აი, რას აფასებდა და აფასებს მამა-კაცი. ქალიც ისე შეჩვევია ამ აზრს, რომ ვერ წარმოუდგენია, თუ რამ სხვა საქმისათვისაც ვარგა.

ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქალების უმეტესი ნაწილი თავის გარეგნობას უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე სულიერ ბუნებას. ძალიან იშვიათად შეხვდებით გონება-განვითარებულ ქალს.

სწავლა-განათლებას ქალები როგორღაც მტრულის თვალით უყურებენ. ქალსაო, [illegible] თვით ქალებისავე, „ქალობა" უნდა ეტყობოდესო; იმათის აზრით, ქალს როგორღაც არ შეჰშვენის „სწავლულობა", [illegible] ჰკარგავს თავისებურ სინაზეს, რაც აუცილებლად საჭიროა ქალისათვის. უმეტესი ნაწილი ჩვენის მშობლებისა იმ აზრისაა, რომ სწავლა-განათლება ქალისათვის მეტი ბარგია.

ცოტა რუსული, ცოტა ფრანგული, სიმღერა, ცეკვა-თამაში, თვალთ-მაქცობა—აი, ყოველივე ის, რაც შეადგენს დღევანდელ ქალების აღზრდას. ეხლანდელი დედათა სასწავლებლები ასწავლიან ქალებს ყოველსას, რაც საჭიროა მამაკაცების მოსახიბლავად...

წ[illegible]ო, რუსულს ენაზედაო. წარმოიდგინეთ, რომ მ. ვოსტორგოვი არა თუ უარს ჰყოფდა მუნჯურს მეტოდს, არამედ ეგ ცილისწამებაა, რომ ვითომ მე ოდესმე ვყოფილიყო მომხრე მაგ მეთოდისაო, რომ ვითომ მეთქვას, საქართველოს შვილთ სწავლის დაწყება საჭიროა პირ-და-პირ რუსულს ენაზედ, თუნდ დედაენის დახმარებითაცაო.

ამ გვარადვე მოითხოვა, რომ სჯული ქრისტესი მთელის სამის წლის განმავლობაში ბავშვებმა უნდა ისწავლონ სამშობლო ენაზედაო და, თუ შესაძლო იქნება, მხოლოდ პატარა ლოცვები, სურათების განმარტება და მოკლე და მარტივი წინადადებანი და მოთხრობანი შეისწავლონ რუსულ ენაზედაო. თუ ვისმე მღვდელს არ ეცოდინება რუსული, „მე მაინც მადლობელი დავრჩები, რომ სულ ქართულად შეასწავლოს ესე ყოველივეო. ჩემი პროგრამაც ამას მოითხოვს, რომელსაც, უწმიდესის სინოდის მიერ დამტკიცებულს, იმედი მაქვს მოკლე დროში გამოვგზავნითო.

რაც შეეხება სახელმწიფო ენის სწავლების დაწყებას, მ. ვოსტორგოვი ამაშიაც სულ სხვა აზრისაა, ვიდრე აქამდე გვესმოდა. იგი ითხოვდა და ავალებდა ყველას, რომ ბალღს დააწყებინეთ სწავლა ამ ენისა მაშინ, როცა კარგად გაიკვეთა თავის სამშობლო ენაზედ კითხვა და წერაო: თქვენ იმას ნუ უყურებთ, თუ ამას რა დრო უნდა მოახმაროო, იქნება ნახევარ წელსვე შეისწავლოს ბალღმა თავისუფლად კითხვა და წერა, იქნება მთელი წელიწადიც დასჭირდესო: თქვენც ასე მოექეცით და შეუფერეთო: სადაც მომზადებული ყმაწვილები იყვნენ და შესაძლოდ დაინახოთ ნახევარ წლის შემდეგ რუსულის ენის დაწყება, დაიწყეთ და სადაც საჭირო იყოს მოცდა—მოიცადეთო. ამაზედ ვერავინ ვერ გისაყვედურებთო,— მხოლოდ ეს-კი ყველას გვახსოვდეს და ნუ დავივიწყებთ, რომ რუსული ენა, როგორც სახელმწიფო და სავალდებულო ენა, ჯეროვანს პატივში უნდა იყოს და რამდენადაც შესაძლო იქნება, უნდა წესიერად ისწავლებოდეს, მით უმეტეს, რომ თუ ვისმე მოწაფეთაგანს სწავლის გავრცელება ენდომება, უამისოთ ფეხის გადადგმა არ შეეძლებაო.

დასასრულ, დასძინა, რომ ყოველს თხოვნის ასრულებას ადგილობრივის განყოფილებისას, ზედამხედველისასა და კერძოსაც, თუ იგი იქნება ჯეროვანი და კანონიერი, მე ჩემს პირდაპირ მოვალეობად ჩავთვლი და ვეცდები დაუყოვნებლივ ავასრულოო.

ასე გათავდა ეს კრება.

მდ—ი. ხ—დი.

დაბა და სოფელი

დაბა ცხინვალი. ცხინვალელებს, ამ დალოცვილი შვილებს, ყველაფერი მუქთი უყვართ. გაზეთი რა არის, ეს ერთად-ერთი ჭკუისა და გონების გამასპეტაკებელი საზრდოც-კი მუქთი უყვართ თავის მკაფიო მკითხველითურთ. ამიტომაც არის ხოლმე, რომ სოფლის მასწავლებელი, ან სხვა ვინმე, აქა-იქა დუქნებში აძებს თავის გაზეთებს.

ვითომ რა გგონიათ, მკითხველო, რა უფრო აინტერესებთ გაზეთში ცხინვალელებს! საცოდავ ბურების შევიწროებული მდგომარეობა, დაუსრულებელი სისხლის ღვრა? მძლავრის ინგლისისგან უზარ-მაზარის ჩინეთის შერყევა და მყუდროების დარღვევა, თუ ევროპის მუშათა ბრძოლა ლუკმა პურისათვის?ან-და ბაქოს ყოფა? იმ ბაქოსი, სადაც დიდი და პატარა ოქროებს ეთამაშებოდა და დღეს-კი პატარა ტირის და დიდი კი ქვეშ-ქვეშ იცინის?!. ამაებს ცხინვალელი ყურს არც-კი დაუგდებს. ამათი სატრფიალო რკინის გზა არის, ამათი სულის ჩამდგმელი ის იქნება, ვინც მათ კარებზედ რკინის გზას მიუყვანს გაურჯელ-გაუნძრევლად. რათ ავიწყდებათ ცხინვალელებს, რომ აუტირებლად ბავშვსაც არავინ აძლევს ძუძუს, თუნდა სამის დღის მშიერიც იყოს! და განა ამისათვის ხმა ამოუღია ან თავადსა, ან აზნაურს, ან მღვდელსა და ან ერს? სრულიადაც არავის, და განა ამის მეტი არა ესაჭიროებათ-რა, რომ ყურზედა სძინავთ?

ერთად-ერთმა ადამიანმა დაიწყო კავკავიდან ეპარქიალურ საქალებო სკოლის გადმოტანისათვის მეცადინეობა ცხინვალში და უმრავლესობას ლახვარივით მოჰხვდა გულში, მანამდის აუხსნიდნენ და გააგებინებდნენ, თუ რამდენ ნაირ სარგებლობას მოუტანდა ცხინვალელებს ამ სკოლის გადმოტანა. მერე კი მიჰხვდნენ მარტო თავიანთ ჯიბის სარგებლობას (გონებისას-კი არა) და ზოგმა ადგილი შეაღირა (ფასად), ზოგმა დაუმთავრებელი სახლები. განა ცხინვალელები რომ ხალხური ხალხი ყოფილიყო, ეს სკოლა ხელიდგან უნდა გაეშვათ?!

უგზო-უკვლობა არავისთვის ხელ-საყრელი არ არის, მაგრამ ცხინვალელებს რაო? რომელ ნაშრომსა და ნაჭირნახულევს გაიტანენ აქედან? თითო კვალი ვენახი აქვთ და ხუთ-ხუთი ძირი ვაშლი უდგათ, იმისი გატანის ილაჯიც არა აქვთ და მეათედ ფასად უცხო გადმოხვეწილ ხალხს უთმობენ და თუ დღეს შემოტანილი საქონლითა კოჭაობენ, მაგალითად, ყველით, პურით, ქერითა და სხვა ჭირნახულით, კიდევ იმ გზის მადლიერები იყვნენ, თორემ მაშინ ყველა მოჭირნახულე თავად მოუძებნიდა ბაზარს და ასე ჩალის ფასად აღარ გადაჰყრიდა, როგორც დღეს. მაშ რიღას იმედი ჰქონდეთ? სწორედ იმის იმედი აქვთ, რომ უცხო ხალხი დაიწყებს მისვლა-მოსვლასა და „დაჩები“ გაგვიჩაღდება და ვაჭრობას ფრთები შეესხმებაო. მერე სად გახლავთ ეს სადაჩე ადგილები? დგვრისში, თამარაშენში, ქურთაში და კეხვში. მერე ცხინვალელებს რაო? იმ ადგილებს პატრონები ჰყავთ და ვაჭრობითაც უკეთესადა ვაჭრობენ ცხინვალელებზედ (არამც თუ ზემო სოფლებში, შიგ ცხინვალშიც ნახევრობით ქართველი და ოსია მოვაჭრე).

რაკი მათი ნატვრა და რკინის გზის მოლოდინი ამაო ხდება, მე ერთს ვურჩევ: აი, მაგალითად, ქარელს და გომს შუა, ესე იგი ქვენატკოცის ბოლოზედ რკინის გზის გამგეობა სადგურს აკეთებს. აბა გაითვალისწინონ, როგორი გზა არის ცხინვალიდამ იქამდე? არსად ხიდი, არსად წყლის შიში, თუ ალაგ-ალაგ შეკეთებას მოითხოვს, თორემ მეტი არაფერი; აი, ამ გზაზედ მოჰმართოს, რაცკი ჰნებავდეს ათას კომლიან დაბას. უნდოდეს და თავი ჰქონდეს—კონკა გაჰმართოს, როგორც მგზავრთათვის, ისე საქონლისათვის; უნდოდეს და დილიჟნები შეიძინოს მგზავრთათვის და ბარგისათვის კიდევ ურმები. ხომ ჰხედავენ, რომ დღეს ორსავე მხარეს, პატარა ლიახვზედ გორში და სალოლაშენში ქარელზედ ისეთი მოძრაობაა, რომ რა-კი ოთხი და ხუთი დილიჟანი ვერ აუდის, მრავლობით ფაიტონებიც ეშველებიან. მერე ვინ არიან ამათი პატრონები? ვის ჯიბეში ჩადის იმათი ანაღები ფული? სანთლიკუდოვისა, კალატოზიშვილებისა და მრავალ სხვის ჯიბეში. ჩვენ-კი არა გვშურს-რა მათთვის, ღმერთმა მისცეთ, ისინიც ჩვენივე ძმები არიან და იმათ უნდა [illegible] ორისავე ხელით, რადგან ჩვენი საჭიროება იმათ უფრო ადრე გაიგეს, ვიდრე ჩვენ.

შეერთებულ ძალას უფრო მეტი ნაყოფის გამოღება შეუძლიან, სანამ ერთისა და ორისას. ანდაზაც ამბობს: ნაშოვარი ნუ გშურსო და ამხანაგი ნუ გძულსო. დღეს ტფილისში მოსიარულე კონკები ბელგიის ამხანაგობისაა. განა ერთი და ორი კაცი არის შიგ ამხანაგი, არა, ათასობითაა. ერთის სიტყვით, მარტო ჩვენსა ვართ, რომ ერთმანეთს უნდო თვალითა და გულით შევყურებთ, აი, თუ გნებავთ, აიღეთ ქართველების მაგალითი. რთველობაზედ თითო-ოროლა თუნგი ტკბილის შეგროვებით. ოთხმოც თუმანზედ რაღაც მეტ-ნაკლები ფული შეაგროვეს, ისე რომ არც-კი ვისმე გაუგია, საიდგან შეგროვდა ეს ფული. თავიანთი საქმე რომ სამსა და ოთხ წელიწადს კიდევ განეგრძოთ, ორას თუმნამდის ფულს შეუყრიდნენ თავს და ამ ფულით შეეძლოთ რამე საზოგადო სავაჭრო დუქანი გაემართათ და თავიანთი მოგება თვითონვე დარჩენოდათ. არა, ეს არ ინებეს, მოუსვეს ამ შეგროვილ ფულს ხელი და ერთმანეთში გაიყვეს. რა ციხე-სიმაგრეს აიშენებდნენ ამით, ის თქვენთვისაც ცხადი უნდა იყოს, მკითხველო.

ცხინვალელების ნაკლსა და საჭიროებას ერთი ოზმა ქაღალდიც ვერ დაიტევს, მაგრამ ყველაზედ საჭირო და ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლა-ცოდნაა, განურჩევლად მდიდრისათვისაცა და ღარიბებისათვისაც, ქრისტიანებისათვისაც და ებრაელებისათვისაც. მარტო სწავლასა და ცოდნას შეუძლია ცოდვისა და მადლის გარჩევა, ავის და კარგის დანახვა. ცხინვალელები-კი,—ვაი, სულო ბოროტო!—ამ მხრივ ძალიან უკან არიან ჩამორჩენილები. ამოდენა ქვეყანამ ერთი სამკითხველო ვერ შეინარჩუნა! რად ჩაიდინეს ეს მიუტოვებელი ცოდვა?..

თუ არა ვცდები, 18 თუ 19 წელიწადი უნდა იყოს, რაც ცხინვალელებს ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა დაუარსეს და წერა-კითხვას ასწავლის ეს სკოლა მოზარდ ყმაწვილ კაცობას. თუმცა-კი, ვაი, ამისთანა სწავლას! პირველ ხანებში თითქმის ძალათ ერეკებოდნენ, მაგრამ ამაოდ. დიაკვანთან უფრო ეხედავდით ბეჯითად მოსიარულე სომეხსა და ქართველს, სანამ ამ სკოლაში. ურიობამ ხომ შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი: შვილებს იქ რა მიგვაბარებინებს, გაგვიქაფრდებიანო (გაგვიქართველდებიან, გაგვიქრისტიანდებიანო).

ყველაფერმა შეჩვევა იცისო, ნათქვამია. ხალხიც შეეჩვია (მაგრამ ურიობამ მტკიცედ დაიცვა თავისი მცნება და დღესაც თავიანთ სალოცავებთან ასწავლიან ყმაწვილებს ებრაულს და ქართულს). სკოლის პროგრამაც გააფართოვეს, ასე რომ სამეურნეო განყოფილებაც მიუმატეს, სადაც მეფუტკრეობას და მებაღეობასაც ასწავლიან, რაც სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, და კიდევ მაგრამ, ერთ წერტილზედა სდგას სკოლა და დღემდის ნაყოფი არა უჩანს-რა, ასე რომ ამ ხნის განმავლობაში სულ თითებზედ ჩამოითვლით, თუ ვისმე ამ სკოლაში ნასწავლს გზა გაუკვლევია ცხოვრებაში.

ჩვენ ზევითა ვთქვით, ერთად-ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო ვერ შეინარჩუნეს-მეთქი. განა ამ ცოდვიდგან ბრალეულნი გამოვლენ ამ სკოლაში გამოვლილები? სრულიადაც არა. ესეც არ იყოს, განა ამ ვაჟბატონებმა არ იციან, რა ეროვნული მტრობაა გაბატონებული ცხინვალში. განა, იმოდენი მოხერხება და ცოდნა ვერ გამოაქვთ ამ სკოლიდან, რომ ორიოდე სიტყვით, ან ბეჭდვით ჩამოერივნენ საქმეში, მტყუანი გაამტყუნონ, მართალი გაამართლონ და ერთმანერთში მშვიდობა და კაცთ-მოყვარეობა დაამყარონ?! ვინ არ იცის, რომ რაც შურსა და მტრობას დაუქცევია, ის სიყვარულს აუშენებია!..

ღმერთმანი, მიკვირს, რა ძილი და მოსვენება აქვთ ცხინვალელებს? ღმერთმა-კი ნუ ქნას და სოფლის თავსა და ბოლოს რომ ცეცხლი გაჩნდეს და ბუნებამაც ხელი შეუწყოს, მთლად ნაცრად იქცევა ამოდენა დაბა თავის სარჩო-საბადებლით. ნუ-თუ ერთი ცეცხლის საქრობი მაშინა გაუჭირდებოდა ამოდენა ხალხს, მაგრამ აქაც იგივე გულ-გრილობა, დაუდევრობაა და სხვა არაფერი.

დროებითი მეთვალყურე.

ნარკვევი.

როგორც ამ წინაზედ მოსკოვში პომხდარ მკურნალთა VIII პიროგოვისეულ კრების სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, მთელს რუსეთში 1899 წ., ე. ი. ორის წლის წინად, ყოფილა სულ 12,482 მკურნალი. ამათგან ქალაქებში 9,422 მკურნალი, ხოლო სოფლებში 3,060, ე. ი. $^1/_4$ იმისა, რაც ერთს მუჭა ქალაქებში ყოფილა. ამ ანგარიშით თვითოეულს ქალაქის მკურნალს ჰხვდება წილად 1,700 კაცი, სოფლისას—36,000. საშუალო რიცხვით, ქალაქის მკურნალს დღეში მოსდის 4 ავადმყოფი, სოფლისას—98. აქედგან, თუ ვიანგარიშებთ, რომ თვითოეულ ავადმყოფის გასინჯვას მკურნალი ანდომებს 15 წამს, გამოვა, რომ სოფლის მკურნალმა მთელი დღე და ღამე (24 საათი) განუწყვეტლივ უნდა იმუშაოს, რაც, ეჭვი არ არის, არავითარს სულდგმულს არ ძალ-უძს. მაშასადამე, თუ სოფლისათვისაც იგივე სამკურნალო შემწეობა და დახმარებაა სანატრელი, რაც ამ ჟამად, სოფელთან შედარებით, რუსეთის ქალაქსა ჰღირსებია, სულ ცოტა საჭირო იქნება კიდევ 62,000 მკურნალი, რასაც ჩვენი უნივერსიტეტები და სპეციალური სამკურნალო სასწავლებლები 40-50 წლის განმავლობაში კიდევ ვერ შეაძლებენ.

თქმა არ უნდა, ვერაფერი სანუგეშოა ეს ციფირები!..

რუსეთი

— ირკუტსკის გუბერნატორს გამოუცია სავალდებულო დადგენილება, რომლითაც უკრძალავს ყველას ფულების შეკრებას საზოგადო მშვიდობიანობის და წესიერების დარღვევისათვის პასუხის გებაში მიცემულთა სასარგებლოდ.

— სიმფეროპოლისა და ნიჟ.-ნოვგოროდის ერობათ მთავრობამ უარი უთხრა იმ შუამდგომლობაზე, რომ ნება მოგვეციო რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობის განხილვაში მონაწილეობა მივიღოთო. ამასთან შინაგან საქმეთა მინისტრმა მოსწერა ერობათ, რომ უფლება არა გაქვთ საერობო კრებაზე შეეხოთ სახელმწიფოს საზოგადო ეკონომიურს პოლიტიკას ან საერთა შორისო ურთიერთობასაო.

— დღემდის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად იღებდნენ მხოლოდ სახელმწიფო სამსახურის ან რაიმე საზოგადოებრივ თანამდებობის კაცებს. მათ არ ჰქონდათ ეგზამენების დაჭერის ნება. ამ უკანასკნელ დროში-კი მთავრობას გადაუწყვეტია თავისუფალ მსმენელთ უფლება მიეცეთ გადასასვლელ ეგზამენების დაჭერისა სტუდენტებთან ერთად; დიპლომის მისაღებად-კი გარეშე მაყურებელმა უნდა წარმოადგინოს გიმნაზიის ატესტატი. თუ კარგად გაივლის უნივერსიტეტის კურსს, შეიძლება დიპლომი უატესტატოთაც მისცენ უმაღლესის ნებართვით.

უცხოეთი

გერმანია. 27 იანვარს რეიხსტაგში საინტერესო ამბავი მოხდა: დეპუტატნი ასამართლებდნენ საზღვაო მინისტრს, ადმირალს ტირპიცს. ეს მინისტრი მეტად უკანონოდ მოექცა პარლამენტს. თავისს შესანიშნავს პროექტში, რომელიც ფლოტის გადიდებას შეეხებოდა, ამ მინისტრმა განგებ ცრუ ციფრები მოიყვანა, ე. ი. პარლამენტი მოატყუა. რადგანაც პროექტს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყვანდა, მთავრობას ეშინოდა, ვაი თუ პროექტი პარლამენტმა არ მიიღოსო. აი, ამიტომ ტირპიცმა ნამდვილი ხარჯი 30 მილიონით ნაკლები აღნიშნა. ამავე დროს მინისტრმა თავის მოხელეებს საიდუმლო ცირკულიარი დაუგზავნა და საქმის ნამდვილი ვითარება აუწყა. ცირკულიარი რაღაც მანქანებით ამ ერთის თვის წინად სოციალისტთა გაზეთის „Vorwärts“-ის რედაქციას ჩაუვარდა ხელთ. რაღა ლაპარაკი უნდა, გაზეთმა მაშინვე გამოაქვეყნა ცირკულიარი და მთელს გერმანიას აცნობა საზღვაო მინისტრის უკანონობა. პარლამენტში აი, ამ ცირკულიარმა ასტეხა აურ-ზაური. ოპოზიცია საყვედურს არ დასჯერდა, მან მოსთხოვა საზღვაო მინისტრს პარლამენტის მოტყუებისათვის მინისტრობიდგან გადადგომა. ცუდი დღე დააყენეს მინისტრს განსაკუთრებით სოციალისტთა მეთაურმა ბებელმა და თავისუფალ მოაზრეთა მეთაურმა რიხტერმა.

აი, რა სთქვა ბებელმა: „ცირკულიარში თქვენვე აცხადებთ, რომ რეიხსტაგს ცრუ ცნობები წარვუდგინეო; ამასთან თქვენის უკანონო საქციელის გასამხილებელი საბუთიც მოგყავთ: სიმართლე რომ მეთქვა, პარლამენტი მიჰხვდებოდა, რომ ახალის გარდასახადის გაწერაა საჭირო, პროექტს განუხორციელებლად ჩასთვლიდა და უარს ჰყოფდაო. მიგმართავ ყველას, ვისაც-კი ზრდილობა ფეხით არ გაუქელავს და ვკითხავ, რა არის ესა? ცხოვრებაში ამ გვარ საქციელს მოტყუებას ეძახიან (დიდი მოძრაობაა) და ყოველი მთავრობა, რომელიც-კი თავისს ღირსებას აფასებს, ერთს წუთსაც აღარ დააყენებდა მინისტრს, რომელმაც ასეთ უკადრის ხერხს მიჰმართა. ამ შემთხვევაში დასთა უთანხმოება მოსატანი არ არის: საქმე ელემენტარულ ეთიკის დარღვევას შეეხება; ამის გასაგებად-კი საჭირო არ არის არავითარი გერმანული იდეალები, რომლითაც ბოლოს დროს ასე მოაქვთ თავი. გამოქვეყნებული ცირკულიარი ნამდვილია და ადმირალი ტირპიცი ვერავითარ მოფიქრებით შავს თეთრად ვერ გადააკეთებს. ყველგან სხვაგან მინისტრი მიხვდებოდა, რომ ასეთ უკადრის საქციელის გამოქვეყნების შემდეგ სამსახურიდგან უნდა გადადგეს (გაცხარებული ტაშის ცემაა მარცხნივ, პროტესტები მარჯვნივ). რეიხსტაგს ათასი სურპრიზი გამოუცდია, მაგრამ დღემდე ფლოტის თვით უკიდურეს მოწინააღმდეგეთაც-კი ეგონათ, რომ საქმე პატიოსან მოწინააღმდეგეებთანა აქვთ და არა ისეთ სოფისტებსა და კაცებთან, რომელთა თვალშიაც მიზანი ყოველ საშუალებას ამართლებს“.

აქ-კი ველარ მოითმინა მინისტრმა და გადასძახა ბებელს: „თქვენ-კი პატიოსან საშუალებას მიჰმართეთ? თქვენ ახლო სდგეხართ, ბ-ნო ბებელ, „Vorwärts“-ის რედაქციასთან და თუ გსურთ, რომ თქვენი პატიოსნება დაგვიმტკიცოთ, დაგვისახელეთ ის საზიზღარი, რომელმაც ცირკულიარი მოიპარა და რედაქციას გადასცა!“ მინისტრს მხარი დაუჭირეს კონსერვატორებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა. განა, რა ცოდვა ჩაიდინა მინისტრმაო, გაიძახოდნენ ყველანი. პირ-იქით, ამ ბოლოს დროს ისე გამრავლდნენ ქურდ-ბაცაცები, რომ მინისტრს ერთ დღესაც არ შეუძლიან მშვიდობიანად მოისვენებაო. მინისტრის მომხრეებმა ერთი სიტყვაც არ დახარჯეს ტირპიცის უკადრის საქციელზედ, ყველანი სოციალისტთა გაზეთის რედაქციასა და იმ კაცსა ჰკიცხავდნენ, რომელმაც ცირკულიარი გადასცა მას. ამაზედ აი, რა მოახსენა ბ-ნ კონსერვატორებს ნიჭიერმა ორატორმა, თავისუფალ მოაზრეთა მეთაურმა ევგენი რიხტერმა: „სწორედ გასაოცარია, ადმირალი ტირპიცი და იმისი მომხრენი როგორ აფუჩეჩებენ მთავარ საგანს და წვრილმანებზედ იწყებენ ლაპარაკს. საჭიროა ამ შემთხვევაში გამოირკვეს, მოსათმენია თუ არა მინისტრის-მიერ სიმართლის ასე ფეხით გაქელვა, ასე მოტყუება პარლამენტისა, როგორც ტირპიცმა მოატყუა. ამის ნაცვლად თქვენ წვრილმანებს გამოჰკიდებიხართ, გაზეთს ასამართლებთ, ჰკიცხავთ ცირკულიარის წამღებთ, თითქოს მინისტრის საქციელის დაფასებასთან ყოველსავე ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს. საქმე ეს-კი არა, არამედ ისაა, რომ მინისტრმა იცოდა რა ხარჯი დასჭირდება ფლოტს და განგებ 30 მილიონით შეამცირა ეს ხარჯი. რაც შეგვეხება ჩვენ, ამიერიდგან ადმირალს, თუ-კი იგი იკადრებს და კიდევ დარჩება მინისტრად, იმ ნდობით ველარ მოვეპყრობით, რა ნდობითაც მთავრობის წევრთ ვეპყრობით. მე ერთს წუთსაც სხვა რიგად არ მოვეპყრობოდი მინისტრს, თუნდაც რომ იგი ჩემი პოლიტიკური თანამოაზრე იყოს. დიდად სცდებიან ისინი, ვისაც მინისტრის საქციელი უმნიშვნელო საქმედ მიაჩნია: აქ პოლიტიკურ პატიოსნებასა და პარლამენტის კონტროლზეა ლაპარაკი. ჩემს სიცოცხლეში მრავალ მინისტრთან მქონია საქმე, მაგრამ ტირპიცი პირველი მინისტრია, რომელსაც იძულებული ვარ საჯაროდ პირში ვუთხრა, რომ ამიერიდგან აღარც ერთი იმისი სიტყვა აღარ მჯერა“ (ამ სიტყვამ საოცარი აღტაცება და ტაშის ცემა გამოიწვია მემარცხენეთა სკამებზედ).

მთავრობის მომხრეებმა რიხტერის სიტყვის შემდეგ უფრო გამოიდეს თავი ტირპიცისათვის, ალბად შეეცოდათ საწყალი მინისტრი. ყველანი იმის გამართლებას შეუდგნენ. დასასრულ ბებელმა ილაპარაკა. მუშათა დასის წინამძღოლმა პასუხი გასცა ტირპიცს, რომელმაც მოსთხოვა დამისახელეთ „ქურდიო“. „თქვენი აღტაცება უადგილოაო,—სთქვა მოხუცმა ორატორმა.—პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ არც მე და არც რედაქციამ არ ვიცით, ვინ გამოგზავნა ცირკულიარი; მაგრამ თუნდაც რომ ვიცოდე, არ ვიტყოდი მომტანის გვარს. რედაქციას არავისთვის უთხოვნია ცირკულიარის მოპარვა. არც ერთი გროში არ გაგვიცია იმ საიდუმლო ქაღალდებში, რომელსაც ჩვენი გაზეთი აქვეყნებს. სენსაციისა და სკანდალისათვის-კი არ გამოვაქვეყნეთ ქაღალდი, არამედ იმისთვის, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელის სახელმწიფოსათვის. თქვენი-კი, ბ-ნო მინისტრო, აღელვება არ შეგშვენით. კარგად უწყით, ადმირალო, რომ ჩვენ ჯაშუშები და პროვაკატორები არა გვყავს დაქირავებული, როგორც პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც საიდუმლო ფონდები მოგვეპოვება ქურდებისა და ავაზაკების დასაჯილდოვებლად. ასეთ საქმეებს ჩვენში მთავრობის დაწესებულებანი მისდევენ. ჰკითხეთ ამის შესახებ პარიჟში მყოფ გერმანიის აგენტს და სხვებს; ხოლო უმანკოებისა და სათნოების ქურქით-კი ნუ იმოსებით!..“

— პოლიცია ბერლინში მცხოვრებ პოლონელებს მოსვენებას არ აძლევს თურმე: ყოველ დღე სჩხრეკავს იმათ სახლებს. წარსულ შაბათს, მაგალითად, 14 პოლონელი სტუდენტი დაუპატიმრებია, მეორე დღეს კიდევ—20. ამ სტუდენტებს პოლიცია რესტორანში შემოჰრტყმია, სადაც ისინი ლუდს შეექცეოდნენ თურმე. პოლიცია, გაზეთების სიტყვით, პოლონელთა საიდუმლო საზოგადოებებს დაეძებს.

— საქსონიის ერთს ოლქში ამას წინად დეპუტატის არჩევნები მოხდა. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატმა, თუმცა 1890 წელს ამ ოლქმა კონსერვატორი აირჩია, ხოლო 1898 წელს—ნაციონალ-ლიბერალი. ამ არჩევნით ხალხმა პროტესტი განაცხადა განზრახულ საბაჟო გარდასახადის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის მომხრე 11,787 კაცი აღმოჩნდა, აგრართა—5,340. ამბობენ, მომავალ არჩევნებზედ საბაჟო პროექტით გაბრაზებული ხალხი აგრარებს გადაუდგება და დემოკრატებს მიემხრობაო. თვით აგრართა მთავარ გაზეთის სიტყვით, საქსონიის 23 ოლქიდგან 18-მდე სოციალ-დემოკრატთა დასს ჩაუვარდება ხელში.

ესპანია. ბარსელონაში მთავრობამ სამხედრო დროის წეს-რიგი შემოიღო, რადგანაც ამ ჟამად იქ მუშათა გაფიცვაა. ქალაქში ყველგან ჯარი სდგას თურმე. ამის წინად,

---

დღეს ხშირად გაიგონებთ იმ აზრს, რომ ახალგაზრდობა დაწვრილმანდა, რომ ახალგაზრდებს არ შესტკივათ გული საზოგადო საქმისადმი; ბანქო და ქალები—აი, რა არის დღეს მათი იდეალიო.

სწუხან, ლაპარაკობენ და ვერ მიმხვდარან-კი, რომ ამის უმთავრესი მიზეზი ქალების ჩამორჩენა და განუვითარებლობაა.

ქალი, როგორც წეღან ვლაპარაკობდი, სდებს ბავშვის ზნეობრივ საფუძველს და თავისის აზრით და მიმართულებით-კი უფრო ძველს ცხოვრებას ეკუთვნის, ვიდრე ახალს.

ახალმა ცხოვრებამ ახალი საზრუნავი გაგვიჩინა, მოითხოვა ახალი მუშაკნი, ახალის აზრებით, რწმენით და მიმართულებით.

ამ ახალ აზრებს, რწმენას და მიმართულებას ვერ იძენს ბავშვი ოჯახში, სადაც ის პირველად ვითარდება თავის დედის ზედ-გავლენის ქვეშ.

საზოგადოება და დღევანდელი მისი მოთხოვნილება ქალს არ აინტერესებს, რადგანაც მისი ვითარება შეჩერებულია ერთ წერტილზე—ოჯახში.

დედა მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ თავისი შვილი მარტო ოჯახისთვის გაზარდოს, ჩააგონოს, რომ ოჯახს ეკუთვნის, ეკუთვნის თავისს დედ-მამას, რომელთათვისაც უნდა გაიზარდოს, იშრომოს და იმოღვაწოს.

ბავშვი თავიდგანვე იმსჭვალება ამ აზრებით და ბოლოს, მართლაც, გარდა თავის თავისა და მშობლებისა არასფერი არ ახსოვს.—ერთი სიტყვით, გამოდის ნამდვილი ეგოისტი.

თუ უნივერსიტეტში მაღალ ფრაზებს ლაპარაკობენ და გაიძახიან ძმობას, ერთობას და პატიოსნებას—ეს იმითი აიხსნება, რომ უნივერსიტეტის ცხოვრება ძალიან განსხვავდება საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან. სტუდენტობა თავით თვისით დიაღ წმინდა რამ არის, ძმობა, ერთობა და პატიოსნება სტუდენტობის დევიზია; ცალკე სტუდენტის ეგოისტური გრძნობა იკარგება ამ საერთო სიმპატიურ გრძნობაში. მაგრამ საკმარისია იგივე სტუდენტი ცხოვრებაში გამოვიდეს, საკმარისია ცხოვრების მძლავრმა ტალღამ შემოჰკრას, შეანძრიოს, რომ მაშინათვე იჩინოს თავი მისმა დროებით მიძინებულმა ეგოისტურმა გრძნობამ.

რასაკვირველია, ეს მოვლენა ვერ აიხსნება მარტო აღზრდით.

გარდა აღზრდისა, აქ ჰმოქმედებს სხვა ვითარებაც, რომლის გამოკვლევას აქ არ შევუდგები, ხოლო ისიც-კი ცხადია, რომ აღზრდას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სანამ ქალი არ ამაღლდება გონებით, გრძნობით და არ შეეთანხმება ახალ ცხოვრებას, სანამ იგი შეადგენს დაქვეითებულ ელემენტს საზოგადოებაში, მანამდის ბავშვების აღზრდის საქმე ვერ ჩავარდება სასურველ მდგომარეობაში.

ქალს მხოლოდ მაშინ შეეძლება ამ სერიოზულ საქმის შესრულება, როდესაც ყოველმხრივ განვითარდება და სპეციალურად მომზადდება. თუ ეს ასე არ მოხდა, ქალი ვერ იქმნება კარგი აღმზრდელი, ძალიანაც რომ იყოს დაჯილდოებული დედობრივის ინსტინქტით.

დროა ჩვენმა საზოგადოებამ შეიგნოს ესა და, თავისსავე სასარგებლოდ, ქალების სწავლა-განათლების საქმესაც იმ ნაირისავე ყურადღებით მოეკიდოს, როგორც ვაჟებისას ეკიდება.

ჯინა.

ჯარსა და მცხოვრებთ შორის შეტაკება მომხდარა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი მოუკლავთ და მრავალი დაუჭრიათ. ხალხი თან და თან უფრო ღელდება და საქმე მეტად მწვავდება. თითქმის ყველა მაღაზია დაკეტილია. გაზეთები ვეღარ იბეჭდება. რკინის გზის მიმოსვლა შეჩერებულია. გაფიცულ მუშათა რიცხვი 40 ათასს აღემატება თურმე.

თითქმის ყოველ კვირასა ხდება ესპანიაში ასეთი ამბები, მაგრამ მთავრობა მაინც შორს გამჭვრეტელობას ვერ იჩენს და მშვიდობიანობის დამყარებას უწინდელებრ ძალ-მომრეობითა სცდილობს. როგორც ეტყობა, მთავრობა მანამდე არ გადაუხვევს თავისს პოლიტიკას, არ მიანიჭებს ხალხს თავისუფლებას და არ გააუმჯობესებს ცხოვრების პირობებს, ვიდრე საერთო რევოლიუცია არ მოხდება ესპანიაში.

ავსტრია. ტრიესტში მომხდარ არეულობის დროს, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მეტად ბევრი სისხლი დაღვრილა. ჯართან ხალხს რამდენჯერმე მოჰსვლია შეტაკება. სახლებში ფანჯრები ჩაუმტვრევიათ, ფარნები წაუქცევიათ და სხვა ზარალი მიუყენებიათ ქალაქისათვის. ზოგიერთ ქუჩაში ხალხი სახლის თავებზედ ასულა და იქიდგან დაუწყია ჯარისთვის კრამიტების სროლა. როგორც გუშინა ვწერდით, ქალაქის თვით-მმართველობამ 10,000 კრონი გადასდო დაღუპულ მუშათა ოჯახების სასარგებლოდ. თვით-მმართველობამ დაადგინა აგრეთვე, რომ მოკლულნი თავისის ხარჯით დაასაფლაოს. ამას გარდა თვით-მმართველობამ პროტესტი გაუგზავნა სამინისტროს ხალხის ამოჟლეტის გამო და მოითხოვა დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

ინგლისი. როგორც ინგლისური გაზეთები სწერენ, აპრილში სამხრეთ-აფრიკის ჯარის მთავარ-სარდალი ინგლისში აპირებს მისვლას მეფის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებლად. ხმა დადის თურმე, რომ კიტჩენერი სრულიად თავს ანებებს სამხრეთ აფრიკაში სამსახურს და ინდოეთში მიდისო. იქმნება, კიტჩენერის წასვლის შემდეგ მაინც მოეღოს ბოლო ბავშვებისა და დედა-კაცების ჟლეტა-ხოცვასა?..

ბოლგარია. საქმეთა ვითარება მაკედონიაში დღით-დღე მწვავდება. ბოლგარიაში შიშობენ კიდეც აჯანყება არ მოხდეს ამ დამონებულს სლავიანთა პროვინციაში. თითქმის ყოველ დღე მაკედონელთა პროტესტები იბეჭდება ბოლგარულ გაზეთებში. მაკედონელნი უჩივიან ოსმალთა ძალ-მომრეობას, ემუდარებიან ყველას, დაგვიხსენით იმ ტანჯვა-ვაებისაგან, რომელსაც ყოველ დღე ოსმალთაგან ვიტანთო. ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიიქცია ბოლგარიის ოფიციოზურ გაზეთის „ბოლგარიის“ პროტესტმა. საყურადღებოა ამ გაზეთის აზრი იმიტომ, რომ მას რედაქტორობს ბოლგარიის მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი დანევი. მაშასადამე, ამ გაზეთით უკმაყოფილებას მაკედონიის საქმეთა გამო თვით ბოლგარიის მთავრობა აცხადებს. ამიტომ წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როგორც მთელს ბალკანიის კუნძულზედ, ისე კონსტანტინეპოლში. აი, სხვათა შორის, რას ამბობს გაზეთი:

„ის უწესოებანი და არეულობანი, რომელიც ეგრე ხშირად ხდება ჩვენსა და ოსმალეთის საზღვარზედ, ნება-უნებურად აფიქრებს ბოლგარიის მთავრობას. ამ არეულობათა გამო სამთავროს მცხოვრებნი დიდ შევიწროებას და მოუსვენრობას ითმენენ. ბოლგარია ემიგრანტებითაა სავსე. სოფია, დუბნიცი, ფილიპოპოლი, ვარნა და სხვა ქალაქები სავსეა მაკედონიიდგან გადმოხიზნულ მასწავლებლებით, გლეხებით, ხელოსნებით და სხვა ხალხით. ეს ამოდენა ჯარი ულუკმა-პუროდ დაეხეტება. გადმოსახლებულთა შორის ბევრი ისეთია, რომ ქურდობასა და ძარცვა-გლეჯას არ ერიდება. პოლიციელთა ნახევარი ამ ხალხის დაწყნარებას უნდება. დიდძალი ჩვენი ჯარი საზღვარს იცავს მოუსვენარ ხალხისაგან. ყველა ამის შემდეგ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ოსმალეთს სამართლიანის წესების შემოღება და მართვა-გამგეობის მოწყობა იმ ოლქებში, რომლებიც ჩვენს საზღვარს აკრავს. ოსმალეთს დღემდე არაფერი გაუკეთებია ამ ოლქებში წეს-რიგის დასამყარებლად. იგი მხოლოდ ატუსაღებს, სტანჯავს და აწვალებს ქრისტიანეთ. უკანასკნელ ორ წელიწადს მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაეტებიდგან მოხელეებმა 300 ბოლგარი გადაასახლეს აზიაში. სხვები საპყრობილეებში ლპებიან. ოსმალებმა გაანადგურეს და მიწასთან გაასწორეს მთელი სოფლები... დროა, ვგონებთ, ამ უსამართლობასა და ძალ-მომრეობას ბოლო მოეღოს“.

ანგარიში

ბათუმის სკოლის სასარგებლოდ ამა 1902 წლის იანვრის 14-ს გამართულ „საღამოს“ გასავალ-შემოსავლისა.

შემოვიდა: ბილეთების გაყიდვისაგან 1,095 მ. 50 კ., ქეტონებისა და თაიგულების გაყიდვისაგან 347 მან., ბუფეტიდამ—156 მ. 30 კ. და კერძოდ შემოწირული—777 მ. 80 კ., სულ 2,376 მან. 60 კ. სხვა-და-სხვა ხარჯი იყო 997 მ. 4 კ., დარჩა ნაღდი შემოსავალი 1,379 მან. 56 კ.

დაწვრილებული ანგარიში და ნახარჯის ყოველივე საბუთი წესისამებრ წარედგინა მთავრობას.

შემოწირულობა გაიღეს: ა. ი. ვანშეიდტმა (როტშილდის ფირმამ) და ა. ო. გაგერმა (ძმ. ნობელთა ფირმამ) ას-ასი (100) მან., ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ 31 მ. 10 კ., ს. ს. თარუმოვმა (მანთაშევმა და კომპ.) 30 მ., ვაგსტაფმა და ბლეიმ, შუტცმა და ციმერმანმა, პ. ო. შპოლიანსკიმ, ა. ს. იაკოვლევმა, ს. ს. იახნენკომ, ი. მ. ვარშავსკიმ და №№-მა ოც-ოც-და-ხუთი (25) მ., გ. ა. პალმმა და რ. მ. კასიანმა ოც-ოცი (20) მ., ა. ე. ვაიმ, შიბაევმა და კამპ. თხუთმეტ-თხუთმეტი (15) მ., პ. ჩილინგარიანმა, ხაჩატურიანცმა, ი. მ. ხუნდაძემ, ი. ა. ივანოვმა, ა. შაპირომ, ბ. ბლერმა, ძმ. ფეშქეროვებმა, ბ. სპადარომ, დ'არნომ, ს. ი. ვარძელმა, ბ. მაკსიმოვმა და ი. ე. ივანოვმა თითო თუმანი (10), ა. ი. ვანშეიდტმა 8 მან. 80 კ., ბ. სიდერიდისმა, ვ. კილაძემ და კამპ. რვა-რვა (8) მ., გ. დ. მავროპულომ („საღამანდრა“), ბ. კეიკელუხესმა, ო. გურევიჩისამ, ბ. ნანოიანმა, მ. პარასკევოპულომ, ბ. კაპელიამ, მ. მანკომ, ე. ი. შხიანცმა, ა. ქურთ-ოღლიმ, კ. ი. ნიკოლაევმა, ი. ს. კოშკინმა, ბ. დარმანიანმა, უ. უ. პეტკევიჩმა ხუთ-ხუთი (5) მ., ბ. ავანესიადიმ, ძმ. სიმონოვებმა, ა. ა. ჟუკოვსკიმ, პ. ფ. რადვილოვიჩმა, ი. კუცურომ, ვ. კაპლანმა, ე. კ. სტოიანოვისამ სამ-სამი (3) მ., დ. დ. ზიბელმეისტერმა 4 მ., ფ. ფ. იაკუბოვსკიმ, კესის-ოღლიმ ორ-ორი (2) მ., მოლა-ხაჯი-მაჰმუდ-ეფენდი-ზადემ, ბ. თათეოსოვმა და ბ. დარმანიანმა თითო (1) მ. სულ—777 მ. 80 კ.

ბათუმის ქართულის სკოლის სამზრუნველო კომიტეტი სამურ ვალად ჰრაცხს უძღვნას უგულითადესი თვისი მადლობა, როგორც ზემოხსენებულ შემომწირველთა, ისე ქ-ბ-ნ ე. ნ. გინკულოვისასა და მ. გ. გოგიჯანოვისას, თავ. აკაკი წერეთელს, თავ. იოსებ ბარათაშვილს, ა. კ. სულტანოვიჩის, ნ. ს. დერჟავინს დ. დ. მარკოვს, ვ. გ. რუტკოვსკის, ნ. ს. მესხს, თავ. ნ. პ. ნაკაშიძეს, მ. ი. შარაბიძეს, გ. ს. თუთბერიძეს, ა. ი. წულაძეს და ყველას, ვინც თავს იდვა და შრომა და დახმარება აღმოუჩინა ამ საქველმოქმედო „საღამოს“ კეთილად წარმართვას.

კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ვოლსკი.
) დ. კლდიაშვილი
წევრნი) ივ. მესხი.
) ნ. საბაევი.
)ექ. ბერძენიშვილი.

შემახელების სასარგებლოდ შემოწირულობა.

რედაქციამ მიიღო ბ-ს ბ. ზ. ფირალოვისაგან ბათუმში შეკრებილი 58 მან. შემახელების სასარგებლოდ. აი, შემომწირველთა სია:

თითომ 5-5 მანეთი:—ნანოიანცი, ბინიატ ოღლი, Ф. Енни и К°,—15 р. თითომ 3 მანეთი: Е. Лиловъ, Н. Сабаевъ,—6 р. თითომ 2 მანეთი: Н. Бялускій, —2 р. თითო მანეთი:—ბ. ფირალოვი, მ. ქალანთაროვი, И. Фельдманъ, ფ. კუხალაშვილი, ი. ბეთანოვი, ი. ლომინაძე, დ. გაჩუნია, П. Казанджиоглы, მ. ნიკოლაძე, ე. სოლოღაშვილი, И. Куцури, ი. ძამოევი, Огородниковъ, №-№, მ. კაკაბაძე, Г. Даніеловъ, ი. კაკაბაძე,—17 მ. თითომ 50 კ.: М. Ивавердовъ, М. Даніеловъ, П. Коссинскій, Ф. Пейкаровъ, ს. დავიდოვი, ბ. საბაევი, М. Аштровъ, ვ. კორხილავა, ვ. რუხაძე, ი. გოხალოვი, პ. თუმანოვი, დ. სოლოღაშვილი, ს. გურგენიძე, П. Чиразиди, დ. სურგულაძე, ქინქლაძე და ხუნგია, ი. ყიფიანი, И. Найманъ, ს. ქუთათელაძე, О. Игитханянцъ,—10 მ., Нусильманъ 25 к., № № 20 к., №№ 5 к., Рабочіе табачной фабрики „Тамара“ —7 მ. 50 კ. უწინდელ (15 მ.) შემოწირულებასთან ერთად გადაეცა „კავკასის“ რედაქციას 73 მ.

დეპეშა

11 თებერვალი.

პეტერბურგი. 11 თებერვალს სასოფლო-სამეურნეო მუზეის დარბაზში დაიწყო მეთევზეობის საერთაშორისო კონგრესი. სიტყვები წარმოსთქვეს თავმჯდომარემ ვეშნიაკოვმა, მიწათ-მოქმედების მინისტრმა ერმოლოვმა და უცხოეთის დელეგატებმა. კონგრესის გახსნას დაესწრნენ სადიპლომატო კორპუსის წევრნი. კონგრესზედ გამოცხადდა 300 კაცი, ამათში 70 უცხო ქვეყნელია.

ნაშუადღევის 3 საათზედ ბუხარის ემირი ამალითურთ წარუდგა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ. ემირმა ძვირფასი საჩუქრები გადასცა. 5 საათზედ ემირი გარეშე საქმეთა მინისტრთან იყო.

პრეტორია. 6 თებერვალს ღამე 300 ბური ფრანკფურტ-ვრედეს ბლოკჰაუზებს დაეცა, ტვიკოპიეს მახლობლად. ამ ბურებს სამხრეთიდგან მოსული ბურთა სხვა რაზმებიც უჭერდნენ მხარს. ბურებმა დასწყვიტეს მავთულის ღობე, გაირეკეს საქონელი და გაარღვიეს ბლოკჰაუზები, საიდგანაც თოფებსა და ზარბაზნებს ესროდნენ. რამდენიმე ბური მოკლულ იქმნა; მათი გვამები მტერმა თან წაიღო. დევეტი ეხლა მდინარე ვილგესთანა სდგას. იმისი ჯარი წვრილ რაზმებად დაიყო.

ნიუ-იორკი. პრინც ჰენრიხის მისვლისას, ნავთ-სადგურში ზარბაზნები დასცალეს. საკარანტინო სადგურთან პრინცს მიეგება ევანსი თავისის შტაბით. პრინცი ჰენრიხი „ჰოგენცოლლერნის“ იახტაზედ გადავიდა, სადაც მიიღო გოლლებენი და პრეზიდენტისა და ამერიკის ჯარის წარმომადგენელნი.

„Associeted Presse“-ში დაბეჭდილია საუბარი კაპიტანის მიულლერისა, რომელიც პრინც ჰენრიხის ადიუტანტად იყო აღმოსავლეთ აზიაში. დევეის საქმის გამო მიულლერს უთქვამს: პრინცი დაეთანხმა დევეის იმაზედ, რომ მეფეთა და პრეზიდენტთა სადღეგრძელოების წარმოთქმის დროს, მას (პრინცს) ჯერ შეერთებულ შტატების პრეზიდენტი უნდა მოეხსენებინა, რადგანაც დევეი იქ მყოფ სტუმართა შორის უფროსი იყო. დევეიმ მადლობა გადაუხადა პრინცს წარმოთქმულ სიტყვებისათვის და დაუმატა, რომ ყოველთვის მიყვარდა პრინცი, ხოლო ეხლა უფრო მეტად მიყვარსო. მიულლერმა სთქვა ბოლოს, რომ პრინცს თავის მოვალეობად მიაჩნია ხელი შეუწყოს მეგობრობას გერმანიასა და ამერიკას შორისო.

ვარშავა. ის სავაჭრო დაწესებულებანი, სადაც სახელმწიფო სასწავლებელნი საწერს მასალას იძენენ, შუამდგომლობენ ნება მიეცეთ გერმანულ საქონლის ნაცვლად ადგილობრივ დამზადებული საქონელი გაჰყიდონ.

სამარა. კომერციის სოვეტნიკმა პლეშანოვმა 120,000 მანეთი შესწირა ქალაქს.

10 თებერვალს სახალხო სიფხიზლისათვის მზრუნველმა საზოგადოებამ პატივი სცა თეატრში გოგოლის ხსოვნას.

პარიჟი. ჩეხთა პუბლიცისტმა შმიდტ ბოშეტმა, რომელიც პარიჟში პოლიტიკურის აზრით მოვიდა, „ბოდინიერის“ დარბაზში წაიკითხა საგანგებო რეფერატი. ამ რეფერატში ბოშეტმა აღნიშნა განსაცდელი, რომელიც ხალხს საერთაშორისო პანგერმანიზმისაგან მოელის და საფრანგეთისა და ჩეხის ინტერესთა ერთობა.—დიდ-ძალი ხალხი, რომელშიაც სერბთა დელეგაციაც იყო, აღტაცებით მიეგება პრაგის დეპუტაციის მოსვლას ჰუგოს ხსოვნის დღესასწაულზედ დასასწრებლად.

პალერმო. როგორც მარსელიდგან იუწყებიან, კიპრიდგან მომავალი რუსეთის გემი „მარიამ გიორგის ასული“ ნაპირს თურმე დაეჯახა და დაიმსხვრა. სამი ზღვაოსანი ნავით გადარჩა, ხოლო 14 კაცი, მათ შორის გემის უფროსი და იმისი ცოლი, გადაარჩინა სხვა გემმა. რადგანაც დაღამდა, გემზედ მყოფ სხვა 14 კაცის გადარჩენა დღეისათვის გადასდევს.

12 თებერვალი.

პეტერბურგი. ბუხარის ტახტის მემკვიდრეს უმაღლესად ებოძა უგანათლებულესობის ტიტული.

10 თებერვალს, წირვის შემდეგ, მათ უდიდებულესობასთან საზამთრო სასახლეში გამართულ იქმნა საუზმე, რომელზედაც მიწვეულ იქმნენ კარის-კაცნი, შინაგან საქმეთა მინისტრი და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტაცია.

უმაღლესის რესკრიპტით მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის-ძეს გამოეცხადა უმაღლესი მადლობა დაჭრილთა შესახებ კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფნის ათის წლის შესრულების გამო.

რადგანაც ფინანსთა სამინისტროს სამრეწველო განყოფილებას ეკითხებიან, რა დროდგან იქმნება გაუქმებული 1900 წლის 21 ივლისს დაწესებული დამატებითი ბაჟი ბამბაზედაო, სამრეწველოს განყოფილება, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, აცხადებს, რომ ხმები ბაჟის დაკლების შესახებ ყოვლისავე საფუძველს მოკლებულია.

მოსკოვი. მევენახეთა და მეღვინეთა კრების სექციათა სხდომები დაიწყო. წაკითხულ იქმნა მოხსენებანი. გამოირკვა ორგვარი აზრი: ერთნი თხოულობენ, რომ ღვინო უეჭველად ბუნებრივი უნდა იყოსო, მეორენი შესაძლებლად სცნობენ შეერიოს ხოლმე ღვინოს შაქარი და პურის სპირტი. მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგი სტევენი სამინისტროს სახელით მიეგება შეკრებილთ. სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს გოგოლისა და ჟუკოვსკის პატივსაცემად გამოფენის გამართვა.

ბელგრადი. ჩერნოგორიის გარეშე საქმეთა მინისტრის პატივსაცემად გამართულ იქმნა საგანგებო სადილი. დაესწრნენ მეფე და სადიპლომატო კორპუსი. მეფემ ჩერნოგორიის მთავრობისა და ამის ოჯახის სადღეგრძელო წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ ერთად მოქმედება ტომით ნათესავ ჩერნოგორიისა და სერბიისა სერბთა საერთო საქმეებში ორსავე მეფის სურვილს შეადგენსო. მინისტრმა მეფის სადღეგრძელო დალია. გუშინ მინისტრი წავიდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საკათედრო ტაძარს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი სარდაფში გაჩნდა.

ოდესსა. ხერსონის თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა აღძრა საერო განათლების სამინისტროში, რომ სახალხო სკოლებში შემოღებულ იქმნას სისტემატიური სწავლება სიფხიზლის საქმისა, რათა შეასმინონ მოსწავლეთ ის ვნება, რაც მაგარ სასმელების ხმარებას მოსდევს.

ბაქო. როგორც კომიტეტმა გამოიანგარიშა, შემახაში დაზარალებულა 2,561 ოჯახი, სულ 14,300 სული და აღმოჩნდა 882 გვამი; ამათგან 31 სომეხია, დანარჩენნი—მაჰმადიანნი არიან. მიწა აღარ ირყევა. შემახიდგან გაიხიზნა 5,000 სული. კომიტეტს ფული და კარვები სჭირია. მთავარ-მართებელმა დაათვალიერა ქალაქი.

ოდესსა. მოვიდა საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ზენგერი; იმის თავმჯდომარეობით მოხდა უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა; შემდეგ იგი ლექციაზედ იყო, დაათვალიერა სამკურნალო ფაკულტეტის შენობა და კლინიკა.

ტიუმენი. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების პოდბოლის განყოფილებამ დაადგინა იშუამდგომლოს, კურგანში სასოფლო-სამეურნეო გაზეთის გამოცემის შესახებ.

ასტრახანი. მდიდარი ნავთის ფირმები სინდიკატს ადგენენ ფასების გასაწესრიგებლად.

ვაშინგტონი. მოვიდა პრინცი ჰენრიხ პრუსიელი.

პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერვალი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში მარკაში 100	46,07½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,27½
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	99⅞
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ გაყიდ.
5% 1-ლი მოგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466½ გაყიდ.
5% მეორე მოგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	379 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	302½ გაყიდ.
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	85⅛ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „ კასპიის ამხანაგობისა	4, 350 წვ. გაყ
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	168 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 . 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ.) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

მკურნალი
ნ. ტ. მულინი.
იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევს 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვის	5 „
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
გასართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 „
გიორგი და მიხეილი	10 „
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20 „
დედა, ანდერსენისა	8 „
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 „
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 „
Давидъ Гареджели, Е. К.	15 „
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 „
ელენე, მოთხრობა	5 „
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 „
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари,	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 „
თამარ-დედოფლის სამკაული	10 „
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 „
ისტორია ქართულ სტამბისა	15 „
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა	40 „
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II არ. ქუთათელაძისა	60 „
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 „
კანდელი, მ. ლელაშვილისა	„ 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 50
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	„ 30
კუბიკები ქართულის ანბანის	1 20
ლექსები განდეგილისა	„ 50
ევდოშვილისა	„ 50
გრ. აბაშიძისა	„ 60
დ. გაბრუაშვილისა	„ 25
მელის წიგნი, გ. თაყაიშვილისა.	„ 40
მუშათა კითხვა	„ 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ბ. ყიფხოშვილისა	1 „
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	„ 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 „
Мцхетъ и его Соборъ. А. Натроева	1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	„ 10

Дозвол. цензурою. Тифлисъ 12-го Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლის“ და ქქვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.